

სანდრო ვავა

ტეატრი ზავხელი  
(2009)

თბილისი  
2010

ნაწარმოების პერსონაჟები, მათი სახელები  
და გვრები, ნააზრევი და დიალოგები  
შერჩეულია შემთხვევით და, გამონაკლისის  
გარდა, პიროვნებებს არ შეეხება. პიროვნებები  
იუმორს გაიგებენ, არაპიროვნებები აიტანენ.  
რედაქტორი და გამომცემელი ყოველთვის არ  
იზიარებენ ავტორის თვალსაზრისს, მაგრამ  
მიიჩნევენ, რომ დემოკრატიის პირობებში  
განსხვავებულ აზრს არსებობის უფლება აქვს.



რედაქტორი

თამაზ მენაბდიშვილი

პომპიუტერული უზრუნველყოფა

ქეთეგან გრძელიშვილი

დაკაბადონება

კობა ბედოიძე

© 2000-2000

(მშენებარე შენობის № სართული. კონსტრუქციებს შორის  
უამთა მროველი წერს)

უფალო ჩვენო, რას მოვესწარით, არეულია ტკბილი და მწარი,  
მათხოვარია, ვინც ბრძენი არი, კმაყოფილია ვინცაა მცდარი,  
წაძევულია მშრომელი ერი, უმუშევარი, მიწყოვ მშეირი  
მიუსაფარი რჩება ხნიერი, განუსწავლელი – ფეხბეღნიერი  
ქვეყნიდან გარბის შვილი და რძალი, სხვას გასაქცევად უჭირავს

თვალი;

პატიოსანი გდია საწყალი, ქურდი დაგვყივის, როგორც მამალი,  
განა რა ვცოდეთ შენთან ისეთი, დარღის ხანჭლით გვაქვს  
გული ნაკვეთი,  
დაუანგულია სახნის-საკვეთი, სისხლის ცრემლი გვდის წვეთი  
და წვეთი.

(შემოდიან მუშის ფორმაში გამოწყობილები, შემოაქვთ სკამები,  
მაგიდები, კათედრა, დაფა)

## უფროსი

აბა, ბიჭებო, ახლა თქვენ იცით, არ გავუმტყუნოთ უფალს იმედი,  
ჩვენი ვალია ამ სიმაღლეზე, მას მშვიდი ჰქონდეს გადასახედი.

## I უმცროსი

რაკი მუშების „ფორმა“ ჩაგვაცვით, არ ნიშნავს ამით მუშად ვიქეცით,  
როდის იყო, რომ მომიტინგებს არ დავარტყოთ და გამოვიქეცით,  
ჰქვას რად გვარიგებ ჰქვა გამოცლილებს, ათასგვარ ცეცხლში  
ვართ გამოვლილი,  
წუხელ რომ მთვრალი გადავარჩინეთ, ჩვენი არაა ამაში წვლილი?

## II უმცროსი

სალაპარაკოდ ღირს, რაც კი იყო? პირველია თუ უკანასკნელი,  
გადავიღალე მაგის დევნაში, გულს ვიმაგრებ, რომ არ წმდცდეს ხელი,  
ჩემ თავს არ ვწივი, ოჯახს რა ვუჭო, ჩემ გამო ყელა გატანჯულია,

რა წესით ვშრომობ, სად და რას ვიცავ, რა კანონია, ან რა რჩულია, საით გაუტევს, თავად არ იცის, თანაც თუ კარგად არი ნასვამი, ქალს არ გაუშვებს, მეგობრებს ლანძლავს, ვითომ ბოლიშობს ჟამი და ჟამი.

### III უმცროსი

ხო... ხო... გენახათ, წუხელ რა მოხდა, როგორც კი ჭამა, ღვინო იგემა, ქალებს დაუწყო ნდომით ძიება, ქაფი მოადგა და მუცლის გვრემა, ამ დროს ქუჩაში უივილ-ჭყირილით, უსაქმურები ცოლით და შვილით მოადგნენ კარზე, „ტრანსპორტანტებით“, წადიო, წადის გაბმით ჭყირილით.

როგორი არი, კაცი რომ გეტყის, აღარ გვჭირდები, გაგვშორდი, წადი, ნუ გაგვიმწარე წუთისოფელი, გადაგვეკიდე, როგორც სახადი. და ჩვენ რა გვექნა? იყო ბრძანება, ალბად მისივე სურვილი, ნება, ჩვენც გავიქაჩეთ, გზები გავკაფეთ და გავაპარეთ როგორც ენება.

### I უმცროსი

მოვრჩეთ ყელობას, უმოქმედობას, ფორმა მოვირგოთ მართლა მუშისა, ტელევიზია მამაძალლია, თვალი გიყურებს ვითომ შუშისა, სინამდვილეში, კარგად არყვევნ, სად რა მიჩქმალონ, სად რა ანახონ, ზოგი გალანძლონ, სხვას მოეფერონ და ჩვენი ბედიც ასე განაგონ.

### უცროსი

ერთად ვმსახურობთ, თან ჩემზე ფიქრობთ, ყურს მოიყრუებს, ვერ გაიგონებს, ზევით არ ეტყის, არ გავგაფუჭებს, არა, კაცობას არ მოინდომებს. ყოფას გიტირებთ, თუ რამე მოხდა, და გირჩევიათ, რომ

ფრთხილად იყოთ, სამორიგეო ადგილს მიხედეთ, საერთო ჯაფა, სწორად გავიყოთ, საამშენებლო მარაგებს იქით ბუზიც რომ დაჭდეს უნდა შენიშნო, ჩვენ ერთგულებას წუნი არ ჰქონდეს, გამოვიჩინოთ სიფხიზლე და შნო.

### III უმცროსი

უფროსო, ვნახე, აგურებს შორის, ვიღაც უცხოა შემოპარული, რაღაცას იწერს, თითებზეც ითვლის, გადამცემი აქვს ეგებ ფარული.

### უფროსი

როგორ თუ უცხო, გუშინდელს აქეთ, სამაგი ალყა შენობას გასდევს, ვინ ოხერია, არ გვეპუება, ჩვენ ჯაფა-შრომას არაფრად დასდევს, ახლავე მოვალ, თავად გავარკვევ, იქნებ კინწისკვრით ჭვევით ვისროლო, არა, სჯობია თქვენ გადააგდეთ, ნაგავით ხელი არ ავიყროლო (შემოდის თემური, დაცვის უფროსი)

არა მოიცათ ჯერ მოხსენებას უფროსს წარვუდგენ, მან გადაწყვიტოს ვარდიც რომ იყოს, თუ ეკლიანობს, უმჯობესია, რომ სხვამ მოწყვიტოს ბატონი თემურ, ვართ მზადყოფნაში, ჭიანჭველასაც არ ვაჭაჭანებთ, მაგრამ ვიღაცა შემოპარულა, საიდან, როგორ, სასწრაფოდ ვარკვევთ.

### თემური

აბა, ლომებო, თქვენი იმედი ყოველთვის მქონდა. ასეა არა?

დღეს დამატებით ფრთებიც გჭირდებათ, რომ არწივულად

შეჰქრათ კამარა,

თაგს ვერ ვიმართლებთ, სასწაულებრივ ხიფათს გადავრჩით ყველა  
წუხელი,

შეშუპებული სახე აქვს უფალს, ეტყობა ღვინო არ იყო ძველი,  
„პახმელიაზე“ გამოვა მალე, და სამთავრობო სხდომას მიხედავს,  
რომელი არი ვითომ მინისტრი, ეურჩება და რამეს შებედავს,  
ჩამოთავდება როდესაც სხდომა და დასჭირდება მუცლის გაძლომა,  
მე ნიშანს მოგცემო, რესტორანს შევკრავთ, აღვკვეთოთ შური  
და გამოხდომა.

ჩვენ გუშინდელი „სიგნალად“ გვქონდეს, სად მიდიოდა და რა ინება,  
მომიტინგებს ვინ მისცა გეზი, ან ვინ ასწავლა ასე გინება,  
გამოირკვევა და მოლალატეს უმუშევრობა სასჯელად ელის,  
უნდა შეიძლო და შეითვერო, როგორც ლრსება, მთავრობის მცველის.

## უფროსი

ბატონი თემურ, დაუნომრავი ვილაცა ვნახეთ ამავ სართულზე,  
გვიბრძანეთ, რა ვქნათ, წიხლებით ვცემოთ, თუ გადავაგდოთ ქვევით  
ცხელ გულზე?

## თემური

როგორ თუ უცხო, დაუნომრავი, ჩვენს სათვალავში თუ არა ჯდება,  
მისი აქ ყოფნა სახითათოა, ზედმეტი რაში გამოგვადგება,  
ავტობუსებით ვინც მოვიყვანეთ, მათგან აქ მოხვდა ნეტა რომელი,  
ვნახოთ, ეგება, ახლობელია ან შემწეობის მუდამ მდომელი  
აბა, სადა ზის. (**მიღის მროველთან**) რაღაც მეცნობა,  
ადრე მათხოვრად ხომ არსად მჯდარხარ?  
არა, მე შევცდი, გამახსენდები. ოპოზიციის წევრს არა ჰგავხარ?

## შამთა მროველი

მარტვილიდან ვარ. სოფელ სალხინოს, ჭანაშიების საგვარეულოს  
თუ გაიხსენებ. გაგახსენდები. მრევლის ვალია მოინახულოს  
სიწმინდეები, სად ეგულება. თქვენ, ჭანაშიებს ვალი გაქვთ დიდი,  
თქვენი სიწმინდე სალხინოს მიწა, დაგდებული გაქვთ, ვით განაყიდი,  
ვალდებული ხარ, გენოს და ჭოგოს, გოგის აუნთო წმინდა სანთელი,  
იქ მოილოცო, აქ იმათ სულებს მოეფინება მაღლის ნათელი.

## თემური

შენ მე გადამრევ: საიდან მიცნობ. იცი, ვინ მყავდა ნათესავები,  
ახლა დრო არ მაქს, შენთან საუბრის. ვერ შევჩერდები და ვერ აგყვები,  
ამიტომ ვბრძანებ: კარგად გასინჯეთ, თოფი არ ჰქონდეს  
გადამალული,  
ნარკოტიკები, დეტონატორი, კავი, შურდული, წალდი ან ცული,  
თუ არ აქს, იცით როგორ უშოვოთ, არა პოვნით კი ჭერ ნუ უპოვით  
ქალალდი ჰქონდეს და კალმისტარი, წეროს პრეზიდენტს,  
მიმართოს თხოვით.

## Շամտա մրութելո

մագլուխելո զար, և սեցա օարալո առցա մյոնու դա առց մշորժցին, վոչցցի հյեմտցու, աղջուր, հաս շնածազ, զոնց վայութեաց, աֆհասաց միեցցին,

## ՌԵԹԱՐՈ

պալածու ըստո և վարու յի առո. ույ առ եար հցցնո, նացուոնալո, և սեցագարած համյ հռմ մոցցիցնու, և սեցա համուսակցն ցացցից ուզալո, պալած դացցութազ դա ամաս ցարճա նուածար-լույսեցին հա քրու վերաա, մարտալո սույնամո, սուլուլս ույեցի վայուան սաճապ ծեցուիցրաա.

## Շամտա մրութելո

մյ լոյմու առա ցիւր, լոյմու ուզուուն մթյրսս դա այ եմուրած յրտած ցիւրանծո, մոցցունցին, մոցցունցին առ մոցցուն? մաստան առ զուանծո, այ հռմ, հյեմու կյտուլու կապու, մյ նոյմունցու դա մույցու սայմու, ցամուարկոյ զոն հա մուուլու, զոն մունցուլու դա զու ասայմուն, մյ կո վիւր, հռցուրու մոցցունցու, մոմազալս վութերա ավմուն սոմահուլյ, լուսումա մույմուլս դա լուսումա ցամցցի ցամուլուու ուզալնու սոնատուլյ.

(յամտա մրութելո լունունցին տացու սայմու)

## ՌԵԹԱՐՈ

ամա, ծոկուն, վայութենեմցու այ, յս կապու յցուու, հայու այ դարիս, տացս դասեսրետ մունու հահյանո, եյլնու յշուրու յալմուստրած յատիս, պուրագունցին կո առ մուալունու. մալյ ամուլյ մունցունցին, „լուցուն“ մացուր ամիւ ամուկինու, առ դայրալուու ցիանու ցուլցու յացուու հցենցիմա լուսու աշունցունցին մուցանունցին, տրանսպորտունցին, տակուլցունցին դաբուրունցին.

რომ იყვირებენ, მიშა, მიშაო, ეს თქვენთვის უნდა იყოს ნიშანი, მეც დავბრუნდები იმათთან ერთად და შესრულდება შრომის მიზანი.

(თემური გადის. ამწეს ამოჰყავს მთავრობის წევრთა ერთი ნაწილი)

### გიორგი ხაჩიძე

„ვინა თქვას თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო დიდების ღირსი“, მეც დავამატებ, ისე დიდისა, აქედან არ ჩანს საზღვრები მისი, უჰ, რა კარგია, რა ლამაზია, შორს გაჭიმული ქვეყნის ბუნება, ყოველი მხარე ხელის გულზეა, არა გვჭირდება შემობრუნება. ჩვენი ვალია ტყე გამოვხმიროთ, სანაცვლოდ მწვანე ბუჩქები დავრგოთ, ამით ბიუჯეტს გამოვადგებით და შეიძლება გიბესაც ვარგოთ.

### ნიკა გილაური

ახირებული ხასიათის ხარ. ჭიუას გარიგებ და ვერა ხვდები, შენ ვინ გაკითხებს ბუნების დაცვას, ძლიერებს წინ ვერ გადაუდგები, აჩემებული აზრი გაწუხებს: უნდა დავიცვა მწვანე გარემო, შენ მწვანეებზე მწვანე გახდები? ამიტომ გირჩევ, არ დაიჩემო, აბა, შემხედვე, არც არას გჩემობ, არც არაფერი არ მეღარდება, სულ ერთი არი, ისე მოხდება, როგორაც უფალს მოელანდება.

### ვანო მერაბიშვილი

პრემიერი გვყავს ძალზე ჭივიანი და არ მოსვლია მიტომ ზიანი, წინამორბედებს არ დაემსაგასა, არსად წამოსცდა სიტყვა ფხიანი, თავისთვის ითლის და სხვისას ითვლის, ხეთაგური ჰყავს მარჯვენა ხელად, მაგრამ ორივეს ცხვირში მძარს ვადენ, თუ არ ჩამისვეს წილში საშველად, ჯერხსნობით კი არის წესრიგი. ვის რა ეკუთვნის დღეს უნდა ენახოთ, ერთურთის აზრი გავიზიაროთ, საკუთარი კი გულში ჩავმარხოთ.

**გელა! (გელა ბეჟუაშვილი უახლოვდება)**

შენ იცი. ხარ კონტრდაზვერვა, უნდა შეიძლო თვალთვალ-მოსმენა, იცი, იქით თუ არ შევუტიერ, აქეთ მოგწვდება მოშურნეთ ენა.

უყურე დავით სიხარულიძეს, რაღაც არ მომწონს მაგისი მზერა, თავდაცვის მინისტრს არ ეკადრება, შინაგანისგან ცალკე სიმღერა. ეს კი ვინაა, თავი უჭირავს, თითქოს მართლაცდა მინისტრი იყოს, მაღვე მოვულებ ბოლოს მის პარპაშს, მაგისი ბედიც შუა გაიყოს.

## გელა ბეჭუაშვილი

ვანო ბატონი, ბატონი ვანო, ყველა ცნობა გაქვს, რაც მოვიპოვე, ზოგს ძმაკაცურად ველაციცები, ზოგს დაგვიმყრე და ჩავექსოვე, უმეტესობა სიმთვრალის უამაღ, იმას იჩემებს, რაც გაუგია, მაგრამ ამ ქალებს ვერას ვუხერხებ, მხოლოდ შენზე თქვს თუ აუგია, ამბობენ თითქოს ცხვრებივით პარსავ, შინაურია თუ შორეული, შენსას არ არქმევ, რაც მოგიპარავს სხვის სახელზე გაქვს

გადამალული

## ვანო მერაბიშვილი

ეგ რომელმა თქვა, შენ დამიღვინე, სხვისი ფულისთვლა ვერ მოიშალეს? საკნებს მიდგამენ პარლამენტის წინ და სამიტინგო სუფრა გაშალეს, მე მათ ვაჩვენებ თუ კი ვარ ვანო, ჩემი რომ უკვირთ, სხვისიცა ნახონ, ბიჭებს მივუსევ, რომ სათითაოდ ყველა გალახონ განა იმდენი მე რა ვიშოვე, პრეზიდენტს მაინც ვერ ვუტოლდები, კაპიკებია ჩემი იმასთან, მაგრამ კი არ მშურს, ვითომ ვერც ვხვდები.

## გელა ბეჭუაშვილი

მეც ხომ მანდა ვარ, რომელი იყო, გინდ პარლამენტში, გინდ მთავრობაში? არ ისარგებლა, არ დააგროვა, არ გადაცვალა სხვაში და სხვაში, მაგრამ შენი შურთ. განსაკუთრებით, რაც ხერხემალი ქვეყნის გიშოდა, მეც ჩვენ პრეზიდენტს დავეთანხმები. რასაც ამბობდა შენზე, იცოდა, ხერხემალი ხარ სახელმწიფოსი. შენს უკითხავად ჩიტიც არ დაფრენს ილაპარაკონ რამდენიც უნდათ. გავლენას ჩვენზე ეს ვერ მოახდენს.

## 3260 მერაბიშვილი

და მანც რაო, სხვას რას ამბობენ, მიშას რა ვუთხრა მოხსენებისას, როგორ დავაწყო, ჩვენი რომ შეგვრჩეს, ჩამოვაცილოთ ნამეტი სხვისას.

## გელა ბეზუაშვილი

ამბობენ, მაგრამ მე კი არ ვამბობ, სხვები ამბობენ და ვიმეორებ, მიტინგზე მყოფნი ყელას გვლანძლავენ, ურცხვად გვარქმევნ ვირებს და ორებს, შენზე ამბობენ, კაცად არ ვარგა, თავზე დაასვა ქვეყანას ცოლი, ნამუსი არ აქვს, არ აქვს კაცობა, მაბეზლარაა, ხმების ამყოლი.

## 3260 მერაბიშვილი

მაგათი დედაც, მიშას რა ვუყო. ყელა გამომსვლელს ჩავაჩუმებდი, მაგრამ ბრძანება არ მოუცია, მთელი კვირაა ამ საქმეს ვსდევდი, ალარ მოპეზრდათ ქუჩაში დგომა, საკნებში ჯდომა, მიეთ-მოეთი, მოვიგდებ ხელში, უნდა ვადინო ცხვირიდან ძმარი, ყურებში ზეთი, საკუთარ ცოლებს მიხედონ უჭობთ, დროს ატარებენ სხვების ყურებით, მალე დავადგენ ვინ-ვისა ჰყარობს, ჩავქოლავ ჭორის გახმაურებით.

### ისმის ხმაური:

დაუშვი დაბლა, არ გადაბრუნდეს, ამდენს ვერ ასწევს, ტვირთია დიდი. კახა ავიდეს, ვანო კი დარჩეს, მძიმე წონების არა გვაქვს მზიდი.

### (გამოჩნდება კახა ბენდუქიძე)

## ნიკა გილაური

შე კაი კაცო, რა გაჩქარებდა, ხიფათში რატომ ჩაიგდე თავი, სხდომას უთქვენოთ მანც ვერ ვიწყებთ, პრობლემებია მართალს ნაზავი, რამდენჯერ მითქვამს, სხდომის დღის წესრიგს ნუ დაუმატებ ისეთ საკითხებს, რომელიც შემდეგ გახმაურდება, ხალხში დაბადებს ათასგვარ კითხვებს.

ՀԱՅԵՐ ՑԵՆՏՐԱԿՈՎ

დღის წერიგში თუ არ შევიტანე, მაშინ იტყვიან დაგვიმალაო, ჩუმად იყიდა, ჩუმად გაყიდა, რუსებს დაუთმო, გადაცვალაო, რად გვინდა ასე, რასაც ვაკეთებთ, ცხადი არი თუ არი ფარული, დავაფიქსიროთ, ნუ განვიხილავთ, წართმეულია თუ მოპარული, საკითხები გვაჭს ორმოცხე მეტი, ყველას ვერც ვიტყვით და განვიხილავთ, სათაური კი დღის წერიგშია, სხდომას ვატარებთ, ყველას გაცხრილავთ.

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

კახა გონებაგამჭრიანია, ისეთს მოძებნის ფორმულირებას, საკითხი იცი, მაგრამ არ იცი, ჰქონდას არ ითხოვს და დაფიქტრებას, დიდოსტატია ვაჭრობის საქმის, როგორც დაგეგმავს, ისე გამოვა, თუ მოისურვა, თანხმობა გვითხრა, ჩრდილოეთიდან მზე კვლავ ამოვა, ნახე, ტყეები როგორ დამიყო, მომგებიანი, წამგებიანი ვერვინ მიხვდება რა რასა ნიშნავს, მკითხავიც ჰყავდეს გამგებიანი.

ՀԱՅԵՐ ՑԵՆՏՐԱԿՈՎ

ბენდუქიძენი ბევრნი ვართ გვარად, მაგრამ ცოტა გფყვს გამორჩეული, ავთანდილი კი იმ რჩეულებშიც, გენიოსივით იყო ეული, მათემატიკის ცოდნას არ ვიტყო, პროფესორებშიც იყო პირველი, გარეგნობით ხომ ტოლი არ ჰყავდა, იხიბლებოდა ყველა მხილველი, ულვაშებს მუდამ მოკლედ იკრეჭდა, ულვაში იყო მისი მშვენება, დღეს ვიღას ახსოვს კარგი ვაჟეაცი, დაკარგულია მისი ხსენება, მე კი შემხედვეთ. თავს არ ვიწონებ, ცოდნით, ულვაშით, გარეგნობითა, მაგრამ ვჯობივარ ათვერ ავთანდილს ბიზნესის შექმნის ეშმაკობითა. ჩემზე იტყოდა, რა უჭირს კახას, რუსეთში რაღას დაბორიალობს, რაც უშოთვა ჭამის, შეირჩოს, ფულის გულისითვის რამდენიმეს წვლობს, მე ერთს ვიტყოდი, კაცი ამ ჭვერად, ბრძოლისთვის არის დაბადებული, საშუალებად ყველა კარგია თუ სამრად ხარ გამზადებული. ავთანდილს ჰქონდა მცირე ხელფასი, გარეგნობა და ქცევა უზადო, უფულო კაცი ვისა სჭირდება, ხელფასის მოსვლას უნდა უცადო, მის მაგალითზე დაკვალიანდი, მიტომ ვიომე, მიტომ ვეცადე, ფული და ფული იყო მიზანი, ფულის გულისითვის სახელიც დაგდე.

პირველ მილიონს მოჰყა მეორე და მერე ხშირად გავიმეორე, ვანგარიშობდი წაგებ-მოგებას, არ ვიყავ ზანტი, მორცხვი და მდორე, ფულს მოჰყა ბევრი სიამოვნება, ძალაუფლება, ღიღი სახელი, იმდენი ვინმე, იმდენი რამე, არც ავთანდილი იყო მნახველი ჰოდა, აქედან გაკეთდა დასკვნა: რად გინდა ცოდნა ან სილამაზე, გაზაფხულით თუ ეცდები შოვნას, წიწილებს დათვლი შემოდგომაზე.

## ნიკა გილაური

კარგი ნათქვამი კარგადა ფასობს, ეს შეგონებაც სიბრძნეა ღიდი, ერთ ულელჭეშ ვართ ამიტომ ბევრნი, ბევრი რამეც გვაქს გამოსაზიდი, მარტო „გაზპრომი“ რამდენს იძლევა გადასატუმბი მილების გამო, ელექტრო ხაზებს რომ ვანგარიშობ, ურუანტელი მდის ზურგში საამო, გზებს საქმეც რომ ჩვენ გვევდო ხელში, ფოთის რეინიგზა და თავად ფოთი, მაგრამ პრეზიდენტს წინ ვერ წაუვალ, წილის გულისოვის არ მაწყობს შფოთი,

## კახა ბენდუშიძე

ბიჭებო, ბევრი არ მოინდომოთ, ბიზნესს უხდება სწორად გაყიფა, ნატერა სხვა არი, ბევრჯერ იფიქრებ ეს რომ მე მომცა, იქ რომ მამყოფა, მაგრამ ხომ იცით, ზღვარი არ არი, ეს თუ მოიგდე, ისიც გინდება, ტვინის ჭყლეტა ბევრი საჭირო, ვის რა შეხვდება და დადგინდება, ენგური პესის მართვის სადგური, სამართავ „პულტა“ მთელი სისტემა, წლობით ვეწვალე ისე და ასე, დარღი დამჩემდა და მუცლის გვრემა, უნდა ამეწყო იმგვარად საქმე, ყველას რებოლა კუთვნილი წილი, მოსკოვ, სოხუმი, თავად ჩვენები, ეკლებით საგსე გრძელი მანძილი. უვნებლად მაინც გამოგატარეთ, და ვერვინ მიხვდა შინა თუ გარეთ – ვინ რა წააგო, ვინ რა მოიგო, ჩვენ ჩვენი გვერგო და გავიხარეთ, ხელოვნებაა ყიდვა-გაყიდვა, ბალეტი მასთან სირთულით რაა, აქ ყველა დარგის მონაპოვარის, გონების ძალით მტკიცედ შეკვრაა, თქვენ ჯერ სადა ხართ, კაცის ნამუსსაც, კაცის კაცობას საჭონლად ვაჭცევ, ზოგს წელში მოვხრი, აქვე წავაქცევ, ზოგს საზღვრებს გარეთ მონად გავაქცევ.

## გოგა ხეჩიძე

ო, ხო ხო, ხო ხო, ჯახა ბატონო, ეს რა მაღალი აზრი გქონია,  
მაკიაველი რა ფეხებია, ტალეირანიც მონაგონია,  
მძიმე გაქვს წონა, ჩიტივით დაფრენ, როგორ გაწვდები

შენ მარტო ამდენს,  
ბევრის მსურველი, ბევრის მიმღები, დაემგვანება კოლექტორს ჩამდენს,  
ვანოს რას უზამ, ბევრიც მოიგო, მერაბიშვილი მაინც მეტია,  
უდეში ნაშობს, უბე აქვს დიდი, ვერ ნახა ის, რაც არ ჩაეტია,  
შენს მონაგებს რომ დაადგას თვალი, რომ აერიოს რამ სათვალავი,  
როგორდა გინდა წილებად დაჲყო, მსხვერპლთან ყაჩალის იქნება ზავი?

## გახა ბენდუშიძე

მულტილმი მიყვარს, მაგრამ იმათშიც, კარგებში კარგი გამოერევა  
კურდლელი რაა, თუ ჭიკიანია მგელსაც დაჩაგრავს და მოერევა  
მე კატა მიყვარს, რომელმაც ლომი მეფის ბრძანებით წურთნა

და ზარდა

არავინ იყო ბოკვერზე მძლავრი, ჭიქურ მიმსვლელი, აღმზრდელის გარდა  
არა ტანით და არა სიმარჯვით, ჭიურის სიმარდით და ეშმაკობით  
კატამ აჯობა ლომს და გადარჩა, ასე გრძელდება შეჯიბრი წლობით,  
ჩვენშიც ასეა. დღეს ჩვენში ლომი პრეზიდენტია თავის უფლებით,  
ადეიშვილი, მერაბიშვილი მისი ბოკვრები ნაზარდნი წლობით,  
ამათ თავის მხრივ სხვა ჰყავთ ბოკვრებად, და ასე წყება ბოკვერებისა  
ახალაია – ბახალაია, სანდოძეები – უნდობნი სხვისა,  
მე კი სულ სხვა ვარ, არ ვარ ბოკვრი, არც უნდილი ვარ, ვიღაც ოხერი,  
კუდი რუსეთში მიტომ დავტოვე, რომ თუ გაჭირდა ჰერი, ვთქვა, ჰერი,  
კი არ ვტრაბახობ, ტრაბახი რაა, როცა ერთად ვართ ბადის მქსოველი.  
ნადავლს მოვიგდებ, რუსებსაც ვუჭოფ, თქვენგანაც ასეთ შრომას

მოველი,

მხოლოდ რკინიგზის საქმე ვერ დავძარ, ბადრის სიკვდილმა გზა ამირია,  
პატარკაციშვილს უღროოდ შეწვდნენ, ლომი უღროოდ გადაირია.

## ნიკა გილაური

შენ ამბობ, ბოკვრებს ძევლებს და ახლებს, დრომდე ხელს ცუდად  
რომელი ახლებს,  
მაგრამ ლომობა თუ შეამჩნია, ლომი გაუხდის საქმეს თავსახლებს,  
ძევლებზე გეტყი – ოქრუაშვილი, დავითაშვილი, მრავალი შვილი,  
ადრე მმობას რომ ეფიცებოდნენ, ხომ დარჩენ ბოლოს ბარტყა და ჩვილი?  
პატარკაციშვილს სხვა რა უნდოდა, პრეზიდენტს ჰყავდა  
როგორც მრჩეველი,  
ცოტას სძალავდა, ნაცვლად ჰუარავდა, და ასპარეზი წინ ჰქონდა ვრცელი,  
ჭკვიანი იყო, მაინც ვერ მიხვდა – კუდავა, ჭოჭუა, გელბახიანი  
თუნდაც თავისი წარსულის გამო, ერთიც არ იყო ჩიტი ფრთიანი,  
გაყიდეს კიდეც. უნდა ვიცოდეთ, ვინც ერთს გაყიდის აღმზრდელს  
და მფარველს  
სხვასაც გაყიდის, დაემსგავსება, სხვისი კაცური სახელის მპარველს.

## გიორგი ხაჩიძე

როდის ვიგრძენი და ვაღიარე, მიშას სიმაგრე და სიღიაღე,  
ჩემ ნათქვამს საქმით მან უპასუხა, სიმღერით ბრძოლა გაღავიხადე,  
ახლაც მზადა ვარ, ოლონდ დაუკრას, კიდეც ვიცეკვებ და ავმღერდები,  
მისგან გაბრწყინდა ჩემი ვარსკვლავი და უმაღური რატომ გავხდები.

## ნიკა გილაური

ბიჭო, ვერ ხვდები, შენ მე გიფარავ, შენ მინისტრობას მე მივეც გეზი,  
საქმეს სჭირდება, ტყვეში იმღერო და ზოგჯერ ხანძრის გახდე მიზეზი.

## კახა ბენდუშიძე

შენ მართალი ხარ, მაგრამ იცოდე, ამან რომ რამე გამოამჟღავნოს,  
ხეების ნაცვლად ბუჩქი არ აქოს, საერთო საქმეს, რომ რამე ავნოს,  
მინისტრობიდან ჩამოვარდება, დაეკარგება სიმღერის გემო,  
რასაც გაძლევენ უნდა იქმარო და საქმის ცოდნა არ დაიჩემო,  
არ მოგივიდეს, რაც სხვას მოსვლია უვანია იყო თუ იყო ბადრი,  
ისინი უფრო მაგრები იყვნენ, მათ შენი დონით როგორ შეგადრი,

თუნდაც გრიგოლი მგალობლიშვილი, ვერ გააჩერა ენა,  
პრემიერობა ვერ შეიშნოა, ლომობა იწყო, და მოეჩვენა,  
რომ ხეზე ასვლას მოახერხებდა, დიდი კაცობის მანია სდევდა,  
ქების მაგიერ პანღური მოსცხეს, სიხარულის წილ მოიმკო სევდა.

## ნიკა ბილაური

ასე რომ, არა პრემიერობა, ვინ იცის როდისღა მომიწევდა,  
ბოკვრებში ლომი ვის აირჩევდა, როგორ მომწევდა, საით მიმწევდა,  
დღეს ჩვენი საქმე აწყობილია, ჩვენი ერთობა, ჩვენი წვლილია,  
ჩვენში პირველი მუდამ ისაა, ვინც საქმეებში გამოცდილია,

## ჩახა ბენდუშიძე

ნათქვამი მომწონს. გამოცდილება ყელა საქმეში დიდი განძია,  
ყიდვა-გაყიდვა ვინც ვერ ისწავლა, ის რა კაცია, ის ხომ ბანძია,  
მე ჩემი ცოდნა-გამოცდილებით, მთელი რუსეთი ავატრიალე,  
რამდენი ვინმე წამოვიყიდე, ზურგზე დავეცი, გავატიალე,  
აქ ჩამოვედი, არა იმიტომ, იქ საჩბიელი მეცოტებოდა,  
არ გივარგოდათ ოქვენ გამყიდველი და გასაყიდი მეცოდებოდა,  
გიოხარით კიდეც, იმედი გქონდეთ, გაგფცებით, გაგყიდით  
სულიოთ-ხორცამდე,

დანაპირები ხომ შეგისრულეთ, პირნათელი ვარ მყიდველთან ცამდე,  
მარქვეს მინისტრი, ამის და იმის, ზოგი კეთილი და ზოგი ავი,  
ჩემთვის სახელი არაფერია, მთავარი არი იყოს სახრავი,  
ახლა გარემოს უნდა მიგხედო, ჩვენი გარემო საოცარია,  
მთები, ტყები, მდინარეები რამ დააგროვა და რამ არია,  
ჩვენს ქვევით ნახეთ სიცარიელე, დიდი და მცირე უდაბნოები,  
ქვიშაა ყელგან, მაგრამ ქვიშაში ნავთობისა აქვთ საბადოები,  
გეოლოგები, გეოგრაფები, ამტკიცებენ და იმეორებენ,  
იქაც ყოფილა ტყე და მდინარე უხსოვარ დროში და ასე გრძნობენ,  
სადაც ნავთობის ოკეანეა, იქ წყალს რა უნდა ჩამომდინარეს,  
ტყეს რაღა უნდა ან მწვანე მდელოს, ნადირს და ფრინველს  
იქვე მძინარეს,

დღეს ასე არი, ქვეყნის სიმღიდრე, რაღაც ნაგთობით გაიზომება, ქვიშიან ადგილს უნდა ვნატრობდეთ, ხელს კი არ გვიწყობს გარემოება, ტყები მიტომ უნდა ავჩეროთ, გავყიდოთ „პრაგად“,

გავყიდოთ „ლევად“,“

მდინარეებიც იქნებ დაგაშროოთ, ენატრებოდეს შვილს დასალევად, უდაბნოდქცეულ ჩვენს ველ-მინდგრებში საბადოები აღმოცენდება, მდიდრებს მივბაძოთ, არაბებიგით ჩალმით მორთულებს გაგვითენდება.

### გიორგი ხაჩიძე

გეგმა კარგი გაქვს და გეზი სწორი, ხუთი ხუთია და ორჯერ ორი, წონაც დიდი გაქვს და გაქანებაც, შემართებითაც არა ხარ მდორი, ტყებს გაყიდი, მოგებას გაჰყოფ, მეც დამიტოვებ საჭმელად სამყოფს, გლეხთა ოჯახებს რა ეშველებათ, უშეშოდ შთენილთ, წილში არ ნამყოფს? და ამას გარდა მინისტრი რომ ვარ, ხომ მავალია გარემოს დაცვა, მიღწევად განა საკმარისია ხეების კაფვა, ტყების დაწვა?

### გახა ბენდუშიძე

გოგა, მაკვირვებ უცოდინრობით, ჩინოვნიკობა ვერ შესძელ წლობით, ღრმად გააზრება ვერ დაიბედე, ვერ მოიწონე თავი სარდლობით. კონტა სახე გაქვს, აქა-იქ წვერი, ულვაშის ქვევით ვით მისამლერი. სულ რომ არ გქონდეს სახე გაქრება, გახდები უფრო ცუდი სამზერი? თანამდებობას უნდა შეხედო, როგორი არი სახელწოდება?

გარემოს დაცვა, გარემო რჩება, რა გედარდება, შიგ რა მოხდება შენ ტყის დამცველი კი არ გიწოდეს და არც მდინარის

ბოლომდე მსმელი,

რატომ გგონია თევზს ვერ დაიჭერ, მუდმივად ტრაკი თუ არ გაქვს სველი?

შენი ვალია გარემოს დაცვა, გარემო მუდამ ცვალებადია, თუ არ იცვალე, კი არ შეიძენ, დაპკარგავ იმას რაც გაბადია, იცი, არაგვი გავყიდე უკვე, წყალი და ნაბირს მწვნე ჭალები, რა ალარ მორბის არაგვიანი, ჭალებსაც ვეღარ მიეძალები? ჩვენ რა, იდარდოს ბარათაშვილმა, მწვანე ჭალებში ვერ ჩამოხდება, თუ ფული არ გაქვს, იქ ვინ მიგიშვებს, მყიდველისაგან კიდეც მოგხვდება,

როცა გავყიდე, როცა გავყიდი, მღინარე, ტყეა თუ მთაა დიდი,  
ფულზე გავყიდი, ფული დაგვრჩება, ფულია ჩვენი თავშესახიდი,  
ვაჟა-ფშაველა არ ხარ იარო, ყვავილს ეფერო, ტურფა იავო,  
ხმელ წითელს სდიო, ტყეში დაღლილმა და გაოფლილმა, გაინიავო,  
ქალაქელი ხარ, ქალაქის ჯუნგლებს, თუ გინდა თავზე გადაუარო  
გავყიდოთ რაც კი გაიყიდება, წილის მიღებაც არ იუარო.

### ნიკა ბილაური

მეც ბევრჯერ მითქვამს, მიგბაძოთ კახას, სქელი აქს კანი, მტკიცე ნერვები,  
გულთან არ უშვებს კრიტიკულ ნათქვამს, ალესილი აქს სიტყვის ეშვები,  
ოპოზიცია სულ არ ადარდებს, გინდ პარლამენტის, გინდა ქუჩისა,  
არ სტკივა შველის ნუკრის გოდება, და არც შეხედვა რცხვენის ქუჩისა,  
სანაცვლოდ თუ კი მივა ბოლომდე და შესრულდება გეგმა დიადი,  
ისე, რომ გარეთ მყოფი ვერ მიხვდეს, რაა მიზანი და ხვაშიადი.  
ეგებ უდაბნო განვავრცოთ ქეყნად და მერე ჩავდგათ ჭაბურლილები,  
ფულით დავიგებთ მფრინავ ხალიჩას, ფულით ვიწებით ფრთაგაშლილები,  
ჰო, მაგრამ რა ვწა, პრეზიდენტს უნდა, მტკვარზე შემოვდგა ახალი ჰესი,  
უდაბნოს ჰესი არ გაშიგია, როგორი არი შენების წესი?

### კახა ბენდუშიძე

ცოტას გულისთვის ნუ შეშინდები. პრეზიდენტი რა,  
არ გვყავს მოწილე?  
ხმას რომ არ ვიღებთ, სხვებზე მეტს იღებს და არც ჰყოლია  
ვინმე მოცილე,  
აქ ორი არი გამოსავალი, როგორც ჯოხსა აქს ორი მხრივ ბოლო,  
მთავარი არი ერთ მხარეს მოტეხ, ისე, მეორე არ მიაყოლო,  
მაშინ გამოდის გენიალურად, დარჩენილს ორი ბოლო ექნება,  
მოტეხილისაც რომ დავამატოთ, ორი ხომ ოთხად გარდაიქმნება,  
გამოსავალი ჩვენ გვაქვს ასეთი, რუქა თუ იცი და ხარ მხილველი,  
დარწმუნდებოდი, მტკვარი გრძელია, საზღვარს გარედან ნაწილი მთელი,  
საბედნიეროდ ჩვენ არ გვეკუთვნის, იქ ვერც ხეს მოჭრი, და ვერც  
წყლს დალევ,  
ნიშნავს იქ მტკვარი მუდმივ იქნება, არსიანის მთა, ტყესაც ვერ დალევ,

ჰოდა, ის წყალი აქეთ წამოვა, ასე ყოფილა, ასე იქნება,  
იმ მხარეს დადგი შენც მტკვარზე პესი, თუ პრეზიდენტმა მართლა ინება,  
იმის აქეთ კი იყოს უდაბნო, ჩვენ ჩვენ ნაწილში ვართ ბატონები,  
ამ ნაწილსაც ხომ ორი მხარე აქვს, პესი და აქეთ მაღალი მთები,  
ჩვენ ამ ნაწილში უნდა გავყიდოთ, როგორ ფასადაც გაიყიდება,  
დიად აზრს უნდა დიადი სივრცე, მცირეში დიდი გაიხიდება.

### გიორგი ხაჩიძე

საოცარია ნათქვამის ძალა, კახა ბატონმა მომგვარა შვება,  
მის შესრულებას მოაქვს სიმდიდრე, ჭვერად მთავრდება ტანჯვა-ვაება,  
ამოისუნთქავს მშრომელი გლეხი, აღარ იქნება უმუშევარი,  
პრეზიდენტს უნდა ვაცნობოთ გეგმა, ჩვენი სტრატეგი სწორუბოვარი,  
სწორ შეფასებას მისცემს მონახაზს, ტაქტიკურ სვლებსაც გაგვინაწილებს,  
დიდი იქნება აღფროოვანება, აღიარებას ვერ აიცილებს,  
მაგრამ მანამდე, ამ ხალხს რა ვუყოთ, დამშეულები ითხოვენ შველას,  
ბოლო არა აქვს კაცთა გინებას, ქალების წყველას, ბავშვთა ვაებას,  
მე კვიტაშვილის სფეროს ვეხები, არ ვაკრიტიკებ, ნუ ეწყინება  
უკეთურობის მიღწევის გზების, მე სხვანაირად მიჭირს მიგნება,  
სანამ ჭვეყანას უდაბნოდ ვაქცევთ, აღმოცენდება ჭაბურლილები,  
უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვთოკოთ, დამშეულები, კუჭაშლილები.

### გახა ბენდუშიძე

სხვის საღარდებულს შენ რატომ დარღობ და საფიქრალი რად გეფიქრება,  
ჭკვიანს მიანდე გადასაწყვეტად, შენს სულში სევდა უმალ ჩაქრება,  
ჭერ კი სჭობია ვითხოთ კვიტაშვილს, დინჯია, წყნარი, არ არი ცეტი  
თუ ვერ გაიგო რა გინდა მისგან, მერე მე მანდე გადასაწყვეტი,  
უკვე მოსულან, იგი და ნიკა, გვარამია მყავს მხედველობაში  
მოუქმე ჩვენთან, ისეთი გითხრათ, ყველას ერთბაშად დაგიჭდეთ ჭკვაში.

(გიორგი ხაჩიძე, ა. კვიტაშვილსა და ნ. გვარამიას მოიფანს)

## ნიკა გილაური

ქვეყნის საქმეზე ვდაობთ დილიდან, ბევრი ჩამაა გამოსარკვევი, უნდა ვიაროთ წინ, პროგრესისკენ და დავიტოვოთ გზა დასახევი, გვაინტერესებს, მარტო მე არა, რა ეშველება ჩვენთან მკვდარ სულებს, აქ დარჩენილებს, — გადარჩენილებს, ან სამუშაოდ სადმე წასულებს ჩვენი პროგრამა სოცდაზღვევისა, სასაცილო არ გავხადოთ სხვისა, ოპოზიცია კრიჭაში გვიდგას, უნდათ გაიგონ მფარველობთ ვისა.

## გილორგი ხაჩიძე

მეც დავამატებ, ვალდებული ვარ, ეგება ყველას გაგვაგებინო, ისე არ მოხდეს ვერ გაგვარკვიო, მერე პასუხი ჩვენ გვაგებინო, გარემოს დაცვის მინისტრი ხომ ვარ, იგი მოიცავს ადამიანებს უმეტესობა მათი ბრალია, ბუნებას თუ რამ ანაგვიანებს. როგორ მოვიქცე, გამოვამჟღავნო თუ ბრალი დავდო მხოლოდ მკვდარ სულებს, ან ცელქ პატარებს, ეგებ ტურისტებს, ან სულაც მუდმივ სხაგან წასულებს?

## პ. პვიტაშვილი

თქვენი შეკითხვა გლობალურია, ქვეშეკითხვებით გადატვირთული, ზოგი იოლად მოსაგვარები, ზოგი უაზრო და ზოგი რთული, მოგეხსენებათ, დაბრუნებამდე, მე საზღვარგარეთ თავს კარგად ვერძნობდი, ბევრი ვიცოდი აქ რა ხდებოდა, გაზეთებიდან ბევრ ქართველს ვცნობდი გურგენიძე რომ აქ დაინიშნა, მე იქ მაცნობეს, იქვე მენიშნა, აქ მომიწვევდა და დამნიშნავდა, ძველი ერთობის და ძმობის ნიშნად რა გამოვიდა, მე კი მიმიღო, თავად დატოვა თანამდებობა, ასე სცოლნიათ, ახალ ქართველებს ერთგულება და ურყვეი ძმობა ახლა თქვენ გინდათ მე ვულალატო, ლადოს იქითქვენ ვალი დავადო და მიკიუნებთ მკვდარი სულია, დასავიწყები თავის თავადო ლადოს სულს ვთიცავ, აჩავის ვიცავ, მაგრამ სიმართლე

თუ რამედ ღირდეს.

უნდა ვიცოდე მკვდარი სულები გაიაფდეს თუ უნდა გაძვირდეს, დარჩენილებშიც, გადარჩენილი რამდენი არი, არავინ იცის მიტომ დაზღვევის ეფექტურობას მე როგორ მივცე დასტური ფიცის

და ამას გარდა დავიმოწმებდი ექსპერტ ირაკლი მაჭავარიანს ყველაფრის გამგებს, ყველაფრის მცოდნეს, გულით ჩვილიანს, ენით ჭირიანს, მან კარგად ბრძანა ტელევიზიით, ჩვენში მდიდრების გამდიდრებაზე, რა საკითხია რა გზით მდიდრდები, მთავარია ხარ მდიდარი სხვაზე მდიდარს სჭირდება მონა, მსახური, ხელზე ლაქია, ბოზი და დაცვა, რომ უკეთ ღარიბს უტიროს დედა, და დაცვებილად შეიძლოს ძარცვა. ჰო და, მსმენელთა შვილთა შვილები, ალიზრდებიან ასეთ პირობით მდიდართა კასტას შევბას მოპოვენ მამაძალლობით, ლიქნით, ვირობით, მომავლისათვის ხომ ზრუნავს ყველა, ჰოდა ცოცხალი კიდევ თაობა შეიწირება იმ დიად მიზანს, რომლის არ ვიკით კარგად რაობა.“

დაზღვევა რაა, ხელფასი რაა, მთავარი არი გვქონდეს მიზანი  
სოციალური უზრუნველყოფა ასე მირჩიეს და ასე ვცანი,  
პენსიონერებს შექეთ გაკვრით, ბევრნი არიან, დიდი ბარგია  
მილიონები უქმად იყრება, მოსამსახურედ ჩვენ არ გვარგია,  
რაც უფრო ნაკლებს დაკარგდათ მათზე, მეტი იქნება გამოსავალი  
ხეიბრდებიან თუ ბერდებიან, ვის გამოც ხდება, მათია ვალი  
პურიც აჭამონ, კუბრუც გაუწყონ, სანთელ-საკელი მწირედ აუწყონ,  
მთავარი არი არჩევნების დროს, ჩვენ ამომრჩევლებს ფეხი აუწყონ,  
ვინც საზღვარგარეთ გაქცეულია, თუ დაგვჭირდება მკვდარი სულია  
თუ დაგვჭირდება მყიფებში ჩატრავთ, ვითომ მეორედ ამოსულია  
და ერთი რჩება კიღვე საკითხი, მაღალ ღონიშე განსახილველი  
ვის დავუძახოთ ჩვენთან მშეირი, და ვის ღატაკთა შემწე, მხილველი?  
პენსიონერი, უმუშევები ღატაკია, მაშ, რა ფეხებია,  
ჩვენი პროგრამა ასე არა სჭის, ამგვარებს არ ცნობს, არ შეხებია,  
იმდენი არი ქვეყნად ღარიბი, მშეირ-ტიტველი, და ავადმყოფი  
ყველას რომ ვსდიოთ, ჩვენ რა დაგვრჩება, და მათი ცოდვით,  
შეგვედება ცოტი,  
ამიტომ საკითხს ასე დავსვაძი, ჩვენც რომ არ მოვცვდეთ იმათ სიაში,  
სამსახურებში უფროსი ვლოცვოთ, სანთელი ვანთოთ ექლებიაში.

ବୋର୍ଡ ପରୀକ୍ଷାରେ

ამომწურავი გაგვცა პასუხი და არ იგარეგებს გამოკიდება,  
თუ ჩავეძიეთ რატომ და როგორ, პასუხი ყულში გაგვეხიდება,

დიდებულია, აი რას ნიშნავს, ევროპული აქტების გამოცდილება, კულტურული აქტები სიტყვა-პასუხი, პრაქტიკას შეაქვს მცირე ცვლილება, ოპოზიცია ჩვენ კადრებს ლანძმავს, თვითონ სადა ჰყავთ ასეთი კადრი, გამჭრელიძე ხომ არის ექიმი, საკითხის ცოდნით როგორ შევადრი, ჰო, გამჭრელიძე დავითი მყავდა მხედველობაში, პირველ ყოვლისა ის იყო მუდამ დიდი ოსტატი დაზღვევების და გარს შემოვლისა. სოცდაზღვევა ხომ თანადგომაა, ექიმის საქმეს ნაზიარები, ეგებ მიტინგებს მოშორებოდა, ფართოდ გაგველო მისთვის კარები, ოპოზიციას მიატოვებდა, მას მოჰყვებოდნენ ლევან და გია – მეზობლობა და მეგობრობა აქვთ, ბავშვობიდანვე, ეს გამიგია, ამ გაჩეჩილებს თუ მოვთოკავდით, თან გამჭრელიძეს შევეყრებოდით ოპოზიციას წელში მოვხრიდით, ვაკეში მაინც აღვზევდებოდით დაფიქრებაა მეტად საჭირო, სად მოუფონო, სად მოუჭირო, მეტოქე გვყვადეს ქედლადრეკილი, მთავრობის მომხრეთ არ გაუჭიროთ.

### კახა ბენდუშიძე

ბევრჯერ მსმენია, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი არი ქართველი, ცარელა ნიჭით შორს ვერ მიღიან, ამიტომ უყვართ თავის მთა-ველი, ახლა დავრწმუნდი, ჩემს გარდა კიდევ გვყოლია მართლა ნიჭიერები. როგორი კადრი გამოგვიზრდა, ვაქებ და სიტყით მოვეფერები, გურგენიძეთა ნაშიერს არ ჰგავს, როგორც არ ჰგავდა ის

წითელ ვანოს<sup>1</sup>

რამდენი გინდა ნიჭიერება, შვილი მეზობელს არ დაემგვანოს, ჯანდაცვის საქმეს, მე რომ ვუყურებ, ჭიკვიანი ხალხი ემსახურება არა სჩევვიათ გულაჩუფება, თანაგრძნობა და ხელით ტარება ავაღმყოფების. მართალიც არის, თუ ავად გახდი, მოშორდი სოფელს, რალას აწუხებ ექიმს და ექთანს, თუნდაც ახლობელს და ფეხზე მყოფელს, ჯორბენაძეს და ჭიბაშვილს ვაქებ, მინისტრობდნენ და ჯანსაც უვლიდნენ, ჭიპებს იძლობდნენ ხაზინის ხარჯზე, ჯორების სიბრძნით წინისკენ ვლიდნენ,

1 წითელი ვანო – მოფერებით ასე ეძახდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვანო გურგენიძეს, კაცს მცოდნეს, გამგებიანს, დამსახურებულს.

ამიტომ შეძლეს წარმატებულად ექიმ-წამლისთვის ფასი დაედოთ რა პიპოკრატე, რის პიპოკრატე, რასაც ნახავდნენ, ხელში ჩაეგდოთ. დღეს კვიტაშვილი მათ კვალს მიჰყება, ასეთი არი განგების ნება, წარმატებული არი მინისტრი, პრეზიდენტს კარგად მოეხსენება.

### ნიკა გვარაშვილი

კოლეგას აქებთ და მიხარია, კოლეგა ვარ და ჰქონია ბედი, კვლავ პროკურორად დავრჩენილიყავ, გენერალ მისი გამოსახელი, მდგომარეობა მკარხახობს ვიყო, ჩემთვის ჩუმად და ამას ვუთმინო, ავალმყოფების მასა აღვზარდო, ისე, აღზრდილი დარჩეს უტვინო. ჩემი მიზანი უფრო რთულია, მაგრამ იოლი შესასრულებლად ამდენი ბავშვი რომ მომაბარეს და დამაყნეს მცველად და მხლებლად, იმდენს ვერ მიხვდნენ ვარ პროკურორი, იმდენი ვიცი რომ ორგერორი ზოგჯერ ოთხია და ზოგჯერ ხუთი, ანგარიში კი გამოდის სწორი.

### ნიკა გილაური

ჩემი კადრია. თუმცა მის აღზრდას, პრემიერი ვარ, ვერ დავიჩემებ, მაგრამ სხვის აღზრდილს თუ შევიფერებ, სხვის შრომის ნაყოფს ამით ვიგემებ, ნიკა ყოველთვის მომწონდა შორით, ჯერ პარლამენტში იბრიებოდა, პროკურატურას თაგს რომ მოაჯდა, რა ვიცი ჩემ თაგს რა მოხდებოდა, მე თქვენ გითხრათ და არა მაქს ცოდვა, თუ რამ ვიშოვე, ახლა ვიშოვე, წილში არ ჩასვი, ვერც მოვიშორე, გამოსავალი ასეთი ვპოვე, პროკურორობის დროს რაც გაიგო, რომ არ ექექა ჩვენი წარსული, არ გამხდარიყო ჩვენი ჯალათი, ჭიკას მოგებოდა ეს თავგასული, მისი გულისთვის, მის სასიკეთოდ, პროკურატურას ჩამოვაცილე, მინისტრად დაგსვი განათლებისა, გამოსაკვებად მივეც საწილე.

### ა. პვიტაშვილი

ეგ ჭიკვიანური იყო ნაბიჯი, გამოჩნდა კიდევ კოლეგას ცოდნა, შრომის ნაყოფმაც არ დაახანა, საერთო საქმეც ასე გამოდნა, ლომაიას დროს არვინ იცოდა, ვინ იჩინიავდა და ვინა წევდა, გაურკვევლობა, საერთო საქმეს უკანა სწევდა.

დილერთა ნაცვლად, ნარკომანები აფთიაქებში წამლებს ექებდნენ, მომარაგების გეგმებს არღვევდნენ, დადგენილ წესებს არაფრად სდევდნენ. ნიკამ ალკვეთა არეულობა, გამოავლინა ერთობის გრძნობა, რომელ სკოლაში რამდენი უნდათ, წინასწარ ვიცით, ხელთა გვაჭვს ცნობა.

## გიორგი ხაჩიძე

შენ შენსას ჩივი, ახლა მე მკითხე, გარემოს რა აქვს დანაკარგები, თუ გაეცნობი, გულდაგულ იტყვი, ამათი დედაც, ამათ კარგები, ვერ მოიშალეს სკოლის ბავშვებმა ხეტიალი და ექსკურსიები ვერც დავადგინეთ, ვინ საით მიდის, არ გაგვაჩნია ზუსტი სიები. ტყვში შედიან, ნადირს აფრთხობენ, მოინდომებენ, იქვე შარდავენ, სანთებელაა თუ სიგარეტი სადაც სხდებიან, იქვე კარგავენ, შემდეგ ნადირი პოულობს ნარჩენს, კარგია თუ კი იცის მოწევა, ცელოფნიანად ყლაპავენ ბევრნი, ვერ მოიშალეს ბრიყული ჩვევა, ვინაც ეწევა—ის სანძარს აჩენს, ჩამყლაპავს კუჭი უავადდება ასეთებს ვხოცავთ ნადირობისას, გარემოს ასე ბევრი აკლდება, ნება რომ მქონდეს ავუკრძალავდი ექსკურსიებზე გამგზავრებასა, ისხდნენ სახლებში, რას ეთრევიან და მეც მომგვრიდნენ ამით შვებასა.

## გახა ბენდუშიძე

ისე გამოდის, რომ გვარამია ლომაია არი ჭიკიანი, უფრო ფხიანი, გამგებიანი, არ ხარჯიანი, მომგებიანი რაღაც საეჭვოდ მიჩნას ეგ საქმე, ის რაც შეიძლო წინამორბედმა, ნიკა ვერ ასწევს, ვერ მოერევა, ამდენი ნიჭი არ მისცა ბედმა. ჯერ მარტო სახელს თუ დაუკვირდით ლომაიაა თან ალექსანდრე, შინაურულად კი კახა ჭიკია, არა ჭინჭრაქა და არა ლონდრე. მის სახელებში ბუნება სჭვივის, მამამ ჩაუთქვა განწყობა შვილის, კეთების დროს თუ რამ შეეშალა, მუდამ თან დასდევს, ხმამაღლა ჰყოვს რასა სწავლობდა, როგორ ცდილობდა, როგორი გზებით, საით ვიდოდა მხოლოდ სოროსმა აულო ალლო, სოროსის მაღლი მუდამ სდიოდა სხვა რას შეძლებდა, რაც მან შეიძლო, რამდენჯერ შეცდა და ტვინი იღრძო, სხვაგვარად როგორ აღზევდებოდა უცოდინარი, ფუჭი და გულღრძო.

ხომ მოახერხა სისტემის დაშლა, უმაღლესისა, უმდაბლესისა  
ისე სწრაფად რომ დრო არ დატოვა, მოფიქრებისა, ჰკუის ლესვისა.  
საქართველოში მუდამ ფასობდა მაღალი სწავლა და განათლება,  
სწავლას მოსდევდა თანამდებობა, ქრთამის აღება და განახლება,  
მუდამ ფასობდა ქუდებიანი და ექიმები ცალმხრივ ტაცია,  
მიტომ ამბობდნენ: ის რა კაცია, ვინც ვერ დაიცვა დისერტაცია.  
სწავლით შეიძლეს და მოხერხებით ეკონომიკის ხელში ჩაგდება,  
სწავლამ და ცოდნამ შეაძლებინა ძველის ახლით ცვლა და გადაგდება,  
თან რა ბრიყული იყო სისტემა, ერთი შაბლონი ერთი მეთოდი,  
მთელი ჭვეყნა ერთ წიგნს სწავლობდა, სხვა რა იცოდი, ვის რას ეტუდი,  
სწავლის პროცესიც იყო უფასო, სახელმძღვანელო კაპიკის ფასი,  
ასეთი სწავლით აშენდებოდა ჩევნი ცხოვრება ასე ძირფასი?  
უმაღლესებიც იყო უფასო, გესწავლა თუ კი ამის შნო გქონდა,  
გაჭირვებულიც ცოდნას ეძებდა და სტიპენდიით თავი გაპქონდა,  
საერთო პქნიდათ საცხოვრებლები, შორიდან მოსულ სტუდენტებისთვის,  
ოლონდ, გესწავლა, შენთვის გესწავლა, არა ჭექისთვის და მშობლებისთვის,  
ფუ, რასა პგავდა, უსწავლელ ყმაწვილს გარეთ გახედვა ეზარებოდა,  
საერთო სირცევილს და დამცირებას, მშობლის გინება ემატებოდა,  
ამდენ ინჟინერს და ამდენ ექიმს, ამდენ განასაწავლულს რა დაიტევდა,  
ამიტომ იყო პირველობისთვის, კარგ ადგილისთვის, ბრძოლა თან სდევდა.  
მეც ის სისტემა გამოვიარე, არ შემხვედრია გვემა და ცემა,  
ფასი არა აქვს ისეთ შენაძენს, იოლად სხვისგან რომ მოგეცემა,  
ეს ლომაიამ იცოდა კარგად, დიდი ფხა მიტომ გამოაჩინა,  
უფასო სკოლა, იაფი წიგნი, არ გაჩერა და დაარჩინა.  
სანაცვლოდ შეძლო მწყობრად აეწყო, დაბალი ფასის, მაღალი ფასის,  
ზოგი ათს სწვდება გაჭირვებული, ზოგი შემძლეა მრავალი ასის,  
სახელმძღვანელოც არი მრავალი, ერთ საგანშია ხუთი თუ ექვსი,  
თითქოს სხვა წიგნში სხვნაირად უღერს ილიასი თუ აკაკის ლექსი,  
სანაცვლოდ არი დიდი შეჯიბრი, წიგნის დაბეჭდვა, საქმის ჩაწყობა,  
ფულია, ფული ჭველა მიზანი, ასეთი არი ახალი წყობა,  
ასე იშოგეს დიდალი ფული მელამ, მგელმა და ლომაიებმა.  
ცოდნა ვის უნდა, ცოდნის მძებნელი ცოცხალი დაღრღნან ღუა-ჭიებმა,  
დაიმსახურა ერის წინაშე, მიტომ ნებივრობს ამერიკაში,  
რომელი არი, მისი ცხოვრება, რომ დაუჭდება ნიმუშად ჭევაში?

## ნიკა გილაური

დასამატები არაფერია. ერთ გუნდადა ვართ შეწყობილები, ერთს მეორე ცვლის, შემდეგ მესამე, ასე ვიცვლებით დანომრილები, მთავარი არი საერთო ხაზი, საქმის წინსვლისა, არ შეიცვალოს, ერთგული დარჩეს პრეზიდენტისა, თანამდებობა რამდენიც ოვალოს, არ მოუვიდეს ისე ონი, ჩემს წინამორჩედს რომ დაემართა, ერთბაშად სურდა გამოსწორება, ვის რა ესესხა, ვის რა ემართა, შე დალოცვილო ჯერ სკამს მოაჭექ და უნაგირი ნუ გეგონება, თანამდებობას აქვს თავის ხიბლი, თავისი წესი და შეგონება. მისგან სხვაობით, თქვენ გაიხსენეთ, როგორ იმარჩვა ნოლაიდელმა, იქით და აქეთ როგორ ისკუპა, ხან ხვალინდელმა, ხან გუშინდელმა, შეძლო კიდევაც მშვიდად და წყნარად ათეულობით მილიონები, ბიუჯეტისთვის ჩამოეთალა და გამხდარიყო ბევრის მქონები, გაგდებულს რა სჭირს, პარტია შეექმნა, მაგრამ რას შვება, აბა უყურე საპირდაპირო ძალებისაგან ცალკე მოძებნა სადგომი ყურე პრეზიდენტს ებრძების, მაგრამ არც ებრძების, კატას თაგვივით ეთამაშება ოპოზიციას გვერდში არ უდგას, თან გვერდში უდგას და არ ეშვება.

## პახა ბენდუშიძე

ზურას ვიცნობდი ძალიან ახლოს, რომელი არი რომ ხელი ახლოს, თავისას იცავს, კიდევ ეცდება, არც აუმტვერებს სხვას სამოსახლოს, მაგრამ ერთია და ვერ წაართმევ, თუ მიზანი აქვს და რამე უნდა, არ მოედება მიეთს და მოეთს, წიუტად შეკრავს ერთგულებს გუნდათ, არც ვინ იფიქროს რაკი გააგდეს, პრემიერობას ჩამოაცილეს, უკან დასახვევ გზას მოუჭრიან და წაართმევნ კუთვნილ საწილეს. ზურა ჟვანიას ვინც ერთგულობდა, დღემდე ჯელაა მისი ერთგული, რაღანაც სწორად ანაწილებდა პრივილეგია იყო თუ ფული. ბარამიძე და გოგორიშვილი, მათთან მრავალი ძეა თუ შვილი, მოქალაქეთა კავშირში მყოფნი, რბილი სკამისთვის ნერვებ აშლილი, დღესაც დასაყრდებს ხედავენ მასში და არც გაცვლიან უბრალოდ სხვაში, საჭეს გემისას არ გადააგდებს, შეცურებული მღელვარე ზღვაში.

## ნიკა გილაური

ნოღაიდელი ჩემი კერპია, როგორც სანთელი ჩემ წინ მავალი,  
მისი გზით მივალ, მისით ვგებულობ რაა სავალი და მომავალი,  
მე მხოლოდ ერთი ვერ გავარკვიე, ასე ერთგული, ასე მშრომელი,  
არაფერიდან განძის მპოვნელი და უფრო მეტის კიდევ მღომნელი,  
პრეზიდენტმა რად ჩამოიცილა და აწყობილი სქემა დაშალა,  
განა რა იყო წყრომის მიზეზი, ერთგული ორგულს რად ანაცვალა?

### კახა ბენდუშიძე

უცნაურად უღერს შენი სიტყვები, მინისტრებშიაც მცოდნედ ითვლება,  
ნებისის ყუნწიდან ხარ ამომქრალი, ანგარიშისას კი მაინც ცდები,  
შე დალოცვილო, აბა შეხედე, როგორი არი ბუნების ნდომა,  
გაზაფხულს შეცვლის ცხელი ზაფხული და მერე მოვა კვლავ შემოდგომა,  
ცვალებადია ირგვლივ ყაველი, მთავრობა რატომ იყოს უცვლელი,  
მთავრობა ქვეყნის თაიგულია და პრეზიდენტის აკავებს ხელი.  
თაიგულს შიგნით ყვავილთა წყბა, თანდათანობით ძველდება, ჭინება,  
წყალს აპურებენ, ჩამომჭინარს ცვლინ, ასეთი არი მთლობელის ნება,  
თუ არ შეარხევს ზოგჯერ თაიგულს, დამჭინარს მოაცლის და გნაახლებს,  
ხელზე გადადის დამჭინარზე სევდა, თვალი მოძებნის ხელებში ახლებს.  
ხელს რომ არ მისწვდნენ და დაიწუნონ, თაიგულს უნდა  
მულმივ ცვლილება,  
და პრეზიდენტიც იცვლის მთავრობას და ცვლილებებით არ დაიღლება.

### გიორგი ხაჩიძე

რა ჭივიანი ვარ, მე თავად მიკვირს, სხვებს რომ დავასწარ,  
ბევრს გული წყდება,  
რა ცუდი არი, ქვეყნის დინება, მიდის და უკან არ დაბრუნდება,  
დაბრუნდებოდეს, მე კვლავ ვიტყოდი, რომ მიშა არი ძალზე მაგარი,  
ექვსი წელია მხოლოდ წინ მიღის, არ მოქცევია უკუღმა მხარი,  
ექვსი წელია ხმამალლა ვუმღერ და კიდევ ექვსი არ მომწყინდება.  
თუ შეასრულა, რაც ჩაიფიქრა, მისი ვარსკვლავი კვლავ გაბრწყინდება,  
აბა, შეხედეთ, სხვას ვის შეეძლო, ასეთი ნიჭით საჭმის კეთება,  
ასი ათასთა ფიქრების შერწყმა და შევარდნაძის ტახტის კვეთება.

ჩვენ კარგად გვახსოვს გაკოტრებული ქვანია ნინოს ეფერებოდა, და ბურჯნაძეც ზურასთან ერთად, უკან დახვას ეპირებოდა, მხოლოდ მიშამ თქვა გადაწყვტილად, ვის ეშინია, მოიქცეს ფრთხილად, მე კი ვიბრძოლებ შეუსვენებლივ, სამეფო ტახტი მე მიღირს ძირად, ვარდებით ხელში მიეჭრა მეფეს, საძნელო იყო დარბაზში შესვლა, გადაღლილ გულზე კიდეც ეამა, როცა ნაყინი მეფისა შესვა, და დაივალა ქვეჭად მეფობა, დაიმსახურა, შეხვდა კუთვნილი, ზურა და ნინო კვალში მისდევდნენ იძულებულნი და შერცხვენილი. პრემიერობა ქვანის მისუა, განა არ იყო მისი წყლობა? ნინო უსარდლა პარლამენტს ნებით, ასე დაფასდა მისი ქალობა, ტრიუმვირატი სად არ ყოფილა, სად დარჩენილა მტკიცედ შეკრული, ბოლოს რჩებოდა გამარჯვებული, ორნი რჩებოლნენ მულამ ბედკრული. სამში ერთი რომ გაიხარებდა, ეს ცხადი იყო ჩემთვის თავიდან, მაინც ვერ მივხვდი ერთი რად მოკვდა და ან მეორე, როგორ წავიდა, რომელი დარჩა სიტყვის ერთგული და ან ლალატი, რომელმა ზარდა, ეკითხათ ჩემთვის, ვუპასუხებდი, არავინა მწამს მე მიშას გარდა.

## ნიკა გვარამია

რა მოხდა, ვისთან შეთანხმებულად, რა ჩაიფიქრეს, შესრულდა სრულად. ეს მე მომკითხეთ, არ გიპასუხებთ, ვინ რით გალალდა ან დარჩა კრულად. პროკურატურა დიდი განძია, ადეიშვილი ბოჭლომად ადეგს, ყველაზე, ყველა გარკვეულია, ვინ ვის ლალატობს და ვის ვინ დასდევს. მასალებია იქ თავმოყრილი, თქვენც ფიგურირებთ იქ თავმოჭრილი, მაგრამ ვადაზე ადრე არ ითქმის, რომ არ მიადგეს პრეზიდენტს ჩრდილი, მე მცირე ნაწილს იქ გავეცანი, დავიმახსოვრე, საჭიროდ ვცანი, როცა აქეთენ გაღმომისროლეს, მივხვდი, შეკერდე, დავუგდო ვანი, მასწავლებლობის მე რა ვიცოდი, საბავშვო ბალის აღმზრდელობისა, მეცნიერების ულელს ვერ ვწევდი, მაგრამ შემეძლო გამეგო სხვისა. თქვენა გგონიათ სისტემას შეცვლი? სწავლის მეთოდებს გადავაკეთებ? მაგრამ ვავიგებ ვინ რითა სუნთქვას, ვის მოვუწონებ, მასთან ვაკეთებ, ზოგს რომ ვგონივარ პატარა ბიჭი, დაიმახსოვრონ, ვარ გვარამია, ზოგს ცოტას მივცემ, რომ არ დაიხრჩის, ზოგისთვის ცოტაც კი არამია ხვალისთვის სხვა მაქვს ჩაფიქრებული, ვისიც ვიქნები ხვალე ერთგული, ის არ გამიშვებს დაუკრეფავში, რეპუტაცია მქონდეს დაცული.

## პახა ბენდუშიძე

ხომ ვთქვი, ჭიკვიანი მოდის თაობა, გაიგეს თბილი სკამის რაობა,  
ყიდვა-გაყიდვა თუ ვერ ისწავლეს, შერჩებათ მხოლოდ მასხარაობა,  
ლომაია, რომ იყო მაგარი, განა სხვა რამე ჰქონდა სხვაგვარი,  
იცოდა რა გზით ეშვება ფული, თან ხელს უწყობდა სკამი და გვარი,  
გვარამიაც ჩანს მომზადებული, ვისა სჭირდება ღლეს განსწავლული,  
უსწავლელისგან უფრო იოლობს შავი საქმე და პატარა ფული,  
ვისა სჭირდება სკოლა და სწავლა, ფულის შოვნაა ანი და ბანი,  
ვინც ხელის ჭუჭყით უბე გაიგსო, ნასწავლი ნახა ფეხის დამბანი,  
ადრეც გითხარით, რომ ავთანდილი სწავლით და ცოდნით

ყველასა სჯობდა,

ბენდუშქიძეებს აღარა ვჩივი, სხვა პროფესორებს ტოლად არ სცნობდა,  
და რა მოიგო ცოდნით ასეთი, მე ბენდუშქიძეს რითი მაჭობა,  
ამაყო იყო, არა სჩვეოდა ჩემისთანებთან თქმა-გამარჯობა,  
გავკარ ნასწავლებს, ისედაც ვიცი, სად რა გავყიდო, როგორ ვიყიდო,  
ვის ქრთამი მივცე, ვისგან ავილო, ვალი დაგადო, არ ავიკიდო,  
მიხარია, რომ მოდის თაობა, სკოლა არ იცის, არ უნდა სწავლა,  
მასწავლებელი-მაწამებელი, მოძველდა ყველა, გასვლია ყავლა,  
ახლა სულ სხვაა პერსპექტივები, კომპიუტერი, კალკულატორი,  
არა გვჭირდება გონების ჭყლეტა, როდის რა იყო, სად და როგორი,  
მოდის თაობა, არ იცის ფიქრი და ანგარიში არ შეეშლება,  
სწავლის სისტემა მორგებული გვაქვს და სამინისტროც შეეშველება,  
შეხედეთ მაინც ჭეკრად რა ხდება, ვის გამოადგა სპეციალობა,  
ცოდნა რად გინდა თუ გყავს ძმაკაცი, ან თუ მოირთო მყარი მძახლობა,  
შორს რად წავიდეთ იაკობაშვილს რა ცოდნა მოსდევს მინისტრობისა,  
ბოკერიაა თუ კალანდაძე, სად ნათრევები მოძრაობისა, უცულავა  
თუ სუბელიანი ვერვინ გაარკვევს რა ძალამ ზარდა.

კეშერაშვილი-ახალაია, რაღა ვინატროთ სიკვდილის გარდა  
მოკლედ რომ მოვჭრა მეცნიერება და განათლება მტკიცე ხელშია  
ამათ შემყურეს ჭიკვიანს ეკუთვნის ტყვია მიიკრას საფეთქელშია.

## ვანო მერაბიშვილი

გელამ ისმინა თქვენი კამათი, არ დაგელებიათ შნო და ლაზათი, შემდეგ სასწრაფოდ შემატყობინა, ჭორით ავსო აზრის კალათი, მან ასე იცის და კონტრდაზვერვა, მართლაც რომ კარგად მორგებულია, რაც მეტს მოგისმენთ და მომახსენებს, იძლენად მეტად მოგებულია, მეც უნდა მქონდეს რეაგირება, მაგრამ ამჯერად გეპატიებათ, დაგსჭით? ვამრავლებ ოპოზიციას, თქვენზე ისედაც მიღის ძიება, დაგროვილ ცნობებს თუ დაემატა, სადმე რამე თქვით ისე და რათა, ჰქუა შეკრულებს საფიქრალს მოგცემთ, კუტშეკრულს ვაქცვ ფალარათათა. იყავით ფრთხილად. დაცვამ მაცნობა, უფროსი უკვე გვიახლოვდება, ჰქვის ნატამალი არვის შეგნიშნოთ, თორემ არ ვიცი, აქ რა მოხდება, იყავით წყნარად, არ შევამჩნიო, თვალის მოხუჭვა ან ჩახველება, ვიცი უტვინო აღთვრთვანდება, გონიერს ძილი მოეძალება. თაობირი დიდხანს არ გაგრძელდება, რესტორანი აქვს დაბევებული, სამშობლოსათვის ტანჯვას ვინც უძლებს, ჩემგან იქნება დაფასებული.

(ხმაურია. ქვევიდან ისმის შეძახილები: მიშა, მიშა)

## ნიკა გილაური

ეს ნიშანია, უფალი მოდის, მწყობრად დავდგეთ და მას ვცეთ თაყვანი, ვუხსნოთ დედა ვინც გააჩინა და ვინც არწია მისი აკვანი.

(შემოდის პრეზიდენტი, დაცვის უფროს თემურთან ერთად იქავებს აღგილს. ჭანაშია დგას მის უკან.)

## პრეზიდენტი

მადლობელი ვარ ჩემი მთავრობის, ჩვენი ერთობის და თავდადების, არ დაიზარეთ, არ შეგეშინდათ, ამ სიმაღლეზე, სხდომის ვადების, ჩემზე ამბობენ, სამშობლოს ჰყოდის, 20 პროცენტით დაპატარავდა, საზღვრებს თუ ჰქედავთ ამ სიმაღლიდან, ისევ იმას ჰგავს, რასაცა ჰგავდა, აქ მოგიწვიეთ, რომ სიმაღლიდან პორიზონტები შორითა ნახოთ. გაიგოთ მისი ავი და კარგი. გულებშიაც ღრმად შემოინახოთ, ვიცი მოგბეზრდათ მუდმივ წვალება ლონდონ, პარიზი, უენევა, რომი, ვაშინგტონი თუ მაღრიდი, ვენა, ჭაფა გადგათ და გიხდებათ ომი.

დღეს უნდა იგრძნოთ სულის სიმშვიდე, სამშობლო ნახოთ,  
ველების ფერი,  
ჩვენი მამული სისხლით ნამული, ჩვენი ალმზრდელი, ჩვენი საფერი,  
სანამ გეტყოდეთ რისთვის შეგურიბეთ, რა აზრი მტანჯავს, გაგიმულავნებდეთ,  
უშიშროების საბჭოს მდივანმა, გვითხრას ვის ვემოთ და ვის დავწებდეთ.

### უშიშროების საბჭოს მდივანი

ბატონმა მიშა სააკაშვილმა, პრეზიდენტია, ასე ინება,  
მოგითხროთ რა გვჭირს, ვის ლოცვა ვუთხრათ, ვის შევუთვალოთ  
დედის გინება,  
დავიწყებ: ძალზე მძიმე გვაქვს საქმე, გვაქვს საქმის საგნის ქებნის სათავე,  
სათავის საწყის ეტაპის ახლოს, ეტაპის ქებნის მე ვარ მოთავე,  
მოთავემ ეტაპს მივეც საწყისი, საწყისის საწყისს ვეცნობი ახლო,  
ახლოდან პროცესს რომ დავაზუსტებ, ხომ შევეცდები შიგ ჩავესახლო,  
ჩასახლებული იმ საწყის ეტაპს, ქვეეტაპებად დავაზუსტილებ,  
ნაწილს, ნაწილებს ჩამოვაცილებ, საწყისის საწყის არ ავაცილებ,  
აცილებული ნაწილი საწყისის, საწყისის საწყისს ეტაპად აქცევს,  
გადაქცეული საწყის-ეტაპი, ეტაპს საწყისის დონემდე ასწევს.  
აწეულ ეტაპს, ქვეეტაპების საწყისის საწყის გეგმებით დავშლი,  
დაშლილ საწყისებს, რომ შევაერთებ, სამშობლოს მტრების  
გონიერას წავშლი.

### პრეზიდენტი

გაგაწყეტინებ. გეყოფა ექა, ორმა ანალიზი და ზარის რეკა,  
ამდენ მუქარას, უმჯობესია, ოკუპანტები გადაგერეკა,  
დღის წესრიგში გვაქვს ბევრი საკითხი, ნახეთ, ორმოცზე ცოტა მეტია,  
ალბად სხვა ბევრი ვერ გაიხსენეთ ან დღის წესრიგში ვერ ჩაეტია,  
სათითაოდ რომ ვიწყოთ განხილვა, მოგვშვა, კიდეც დაგვიღომდება  
ოპოზიცია მიტინგს მოაჩება, დაგველოდება და გაწამდება.  
სანაცვლოდ ჩვენი დეპუტატები, დღეს საიდუმლოდ, სხდომსა აწყობენ,  
სირცევილის კარში გამოვლილები, რას გადაწყეტენ ან რასა გრძნობენ,  
ჩვენგან სჭირდებათ მათ დახმარება, უმრავლესობა ჩვენი კადრია,  
რასაც ჩვენ ვამბობთ, იმეორებენ, დალატი არც ერთს არ უკადრია.

ჩვენც ნუ ვიკადრებთ, რომ მიგატოვოთ, არ ვუთხრათ, კენჭი რაზე უყრონ, უსაგნოდ ისხდნენ, ბუზები თვალონ, ოპოზიცია მით გაახარონ.

პირველი, რაც მსურს რომ გაიმხილოთ და პარლამენტშიც გაიმეოროს, კამათი ჰქონდეთ, მიწევ-მოწევა, სიჩუმით თავი არ აიმძოროს,

მსოფლიოს წამყანა ჰქონდებში მაინც, ეკონომიკა ჩამოიშალა.

გაურკველობა საძლავს სიმედგრეს, კრიზისმა ფართედ ფრთები გაშალა, გერმანიაში თავი მოიკლა გაკოტრებულმა მილიარდერმა,

მსხვილი კონცერნი გააკრიტიკა და ბრალი დასდონ კონგრესის წევრმა, ფორმს გაუჭირდა, „ჯენერალ მოტორს“ ს მთავრობა ღიღდალ

კრედიტს შეპირდა.

ანგარიშობენ კრიზისის ძალას, მისი დაწყება ღირდა არ ღირდა, თვით სასომეხთსაც კი გაუჭირდა, ეს თანაგრძნობით უნდა გაუწყოთ,

რით მივეხმაროთ მოძმე სომებს ერს, რჩევა, რჩევაზე როგორ აუწყოთ ბევრი ვიფიქრე რითი ვუშველო, გამოსავალი ასეთი ვნახე:

ზღვისკენ გზას მივცემ აჭარის მხარეს, კეთილშობილი გექნება სახე. ეგება მაშინ ახალქალაქში სეპარატისტთა მუქარა შეწყდეს,

მოთავეებსაც ხელს ჩამოვართმევ, უარი არ თქვან, არავინ შეცდეს.

მე კარგად მესმის მათი სურვილი, რად დაიყნეს რუსი დარაჯად, რად მსახურობენ იმათ გარებში, რატომ აცვიათ მათი ფარაჯა.

მე რომ გაფიგე, მათაც იცოდნენ, ისე არ მოხდეს სირცევილით თრთოდნენ, რუსები თურქებს დააჩაგვრინონ, ორ პითონს შორის

კურდლებად ხტოდნენ.

ვერც უკრაინა ვერ გადაურჩა კრიზისის ტალღას, უმუშევრობას რუსეთს არ ვიტყო, რუსეთში უკვე, მამრი დაიწყებს მალე მდედრობას, მხოლოდ ჩვენ ერთი გადავრჩით მგზავრი, გვაქვს საამაყო, გულგასაქავრი, თავს ავირიდეთ კრიზისის ტალღა, უმუშევრობის არ ვეტანჭას ჭავრი, ვიცი ეს ქუჩის ოპოზიცია, ქუჩის კაცები, მოხუც-ქალები.

პარლამენტის წინ მიტინგს მართავნ, ზიზლით უპრაიათ ჩემსკენ თვალები, ამბობენ ღვარძლით და სიბოროტეს ერთი-მეორეს უზიარებენ,

კრიზისმა რატომ არ გვაზარალა, ამ აზრს სდევენ და უტრიალებენ, მე ხომ არ ვეტყო კრიზისი რაა, როგორი არი მისი ბუნება

რაც არ გაქვს, იმას როგორ დაკარგავ, არც დაგჭირდება შემობრუნება.

ქარხნები არ გვაქვს და ფაბრიკები, ნოლზე ნაკლები გვაქვს მრეწველობა,

რაც გვქონდა ჭართად გავანიავეთ, ასეთი ბრძნული გვქონდა მცდელობა,

ჭკვიანები ვართ, ქარხნების ნაცვლად, მარკეტები გვაქვს და რესტორნები!

საწვავ-საცხების საღგურებია, სალოცავები და სალონები, რასაც არა ვჭმნით, იმას ვერ მოვშლით, მიტომ კრიზისი არ შეგხებია, ჩვენ ტჯებს ვყიდით, წყალსაც გაგვიდოთ, აქ საკრიზისო რა ფეხებია?! სანაცვლოდ ვიცი, რომ ამერიკა და მასთან ერთად მსოფლიო ბანკი, კრედიტებს უხვად გამოგვიყოფენ, აქ მრეწველობა მოვშალეთ რაკი, იმას არ ვიტყო სულ ადგილია მუდმივი გვერნდეს გაზი და დენი. დამსახურებას უმცროს ბუშისა, ახლა აგრძელებს ჯო ბაიდენი, მეგობარი მყავს კოლინ პაუელ, მაკეინი და კლინტონ, ობამა, ვემსახურები, მასაჩუქრებენ, ასეთი იცის ჩეენში ძმობამა.

დღეს ავღანეთში ვაგზავნი ჯარებს, ამერიკელებს მხარში ვუდგები, უარი რად ვთქვა, კარგ ფულს უხდიან, მაგრამ მე წილში არ ჩავუდგები. რაღაცა უნდა აკეთოს ჯარმა, ნატოს სტანდარტებს მიუახლოვდეს, არ შეიძლება უქმად შინ მჯდომი, მეზობლისაგან შველას ითხოვდეს, მთავარსარდალიც უნდა შეეცვალოთ, არა, წამომცდა, სარდალი მე ვარ, ამ სიმაღლისაც არ მეშინია და შემართებით არესტ-ა ვგევარ. თავდაცვის მინისტრს მოუწევს შეცვლა, მაგრამ ვინ დაგსვა,

ეს ჯერ არ ვიცი,

უგულავა რომ გადავიყანო, ერთგულება აქეს ჩემთან ნაფიცი, კარგი იქნება, მაგრამ ქალაქი, თბილისში მინდა ერთგული მერი, ეგება ვანო მერაბიშვილი? საქმე გვექნება მაშინ სამღერი, მაგრამ რა ვუყო, მეტი მოუგა, ვანო ისედაც დატვირთულია, ხედავთ? კადრების სიჭარბე არი, ამორჩევა კი მაინც როულია. იქნება, ბაჩო ახალია, ვანო აქებდა. ჩეენი ბიჭია, ერთგული ხალხის გარს შემოკრეთა, ხელმძღვანელობის დიდი ნიჭია, ახალია, როლანდის შვილი, ვიცნობ, მინისტრად გამომაღება, ციხე, მიტინგი რა სხვაობაა, დასარბევადაც აღრე ადგება. გადაწყდა. ახალ საქმეს მივხედოთ. ლტოლვილები გვყავს დასაპურები, თორემ მშიერებს თუ დაემატნენ, მიტინგით ტვინით განახურები, ცუდად წაუვა პარლამენტს საქმე, ხალხის მოთოკვა ძალზე ძნელია. პრობლემებს ვარჩევ, ახალი ჩნდება, სალაპარაკო არ დამელია, გაქმახდა საქმე, მაგათი შიშით, სასახლეშიაც ვერ ვინავარდო, ჯერ არა მიჭირს, გარეთაც თბილა და ამინდები არი სავარდო, ჯო ბაიდენმა, ჩემი გულისთვის, კი უთხრა, ჭკუას თუ არ მოხვედით,

2 არესი – პელაზგურ-ბერძნულ მითოლოგიის ომის ღმერთი.

სანანებელი გახდება მალე, აქ სამიტინგოთ რატომ მოხვედით? მილიარდს გაძლევთ, მილიარდიდან, თქვენი სამყოფი წილიც იქნება. ვინც ამ წყალობას არ შეიშნოებს, გადაეგება, გარდაიქმნება. ოპოზიციას როცა თამაშობთ, სურვილის გარდა გჭირდებათ ცოდნა, როდის შეცვალა ყვავმა ბულბული, ნეხვიდან აქრო როდის გამოღნა? ვინც შევიფარე და დავითარე, ვისაც შევხედე მოწყალე თვალით, პრეზიდენტობის წართმევა უნდათ, თუ არა ნებით, დე იყოს ძალით, ექვს მაისს, ერთხელ, ხომ ვაგრძნობინე, ტყუილად ცეცხლს ნუ ეთამაშებით! თხუთმეტი ივნისს კი ცხვირში მოვარტყა, ამოვისუნთქე მას მერე შეებით, ახლა თუ უნდათ ცოტაც იყვირონ, დაიღლებიან, დაიშლებიან.

იციან უკვე, თუ არ გაჩერდნენ, ბევრ მათგანისთვის იქნება გვიან, ახლა ახალი მონახეს თემა, რუსეთთან ომი მე დამიწყა.

ვერ დამითვლია მათი ტანკები, ტყია-წამალი ვერ ამირწყია, პუტინსაც თურმე ვექალნებოდი, ბრძოლაში სადმე რომ შევხვდებოდი. მოსკოვთან ახლოს აგარაკი აქვს და მფლობელობას ვეტანებოდი, ზოგმა ლიდერმა მთლად გააფრინა, ვერ გაუგიათ ვინ არი ვინა.

ბევრი ყვირილი საქმე ეგონათ, ლაყაფმა ასე გამოატვინა, ჰქევას ვინც მოეგო, იმან მოიგო და პარლამენტში მიიღო სკამი, წინ თარგამაძე გიორგი ჰყავდათ, ინტრიგობაში არ არი ხამი.

ასლანს გაექცა, ბადრის უყვლა, მე დაწვრილებით ვიცი სულ ჭელა, მიტომ იაფად შემოვისყოდე და არ დამჭირდა ხაზინის შველა.

საერთოდ ჭელამ უნდა იცოდეთ: პირველად არი მუხთლობა ძნელი, ციხის კლიტეც კი ვერ გაჩერებს, თუ ქურდობაში გაიწვროთნა ხელი. რას გიჯებოდით? არ დამავიწყდეს. ხო, ვინ დაიწყო აგვისტოს ომი, ჩემზე ამბობენ, აგრესორი ვარ, რუსეთის მტერი და სისხლის მღომი, ამ საკითხებზე ახალს რას გეტყვით, ყველა წვრილად თქვა ტალიავინმა<sup>3</sup>? ოპოზიცია უკუღმა პყვება, ასე გაუჭრა ლიდერებს ტვინმა.

საცოდავები. ვერა ხვდებიან ჩემზე ავის თქმა, ქვეყნის ავია, პირადი შურით ქვეყნის მოძულე, მტრისთვის უფასოდ მიმქარავია, დალოცვილები, რომელი არი, არა ნატრობდეს ქვეყნის შველასა.

განა მაშული დაგვიბრუნდება, თუ მტერს მოვთხოვდით შეწყალებასა? კარგად იციან, ჩვენი სოფლები, მტრისგან უწყალოდ იბომბებოდა,

3. ტალიავინი – 2008 წ. აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი ევროკომისიის ხელმძღვანელი.

მოსკოვი იყო ფელას მოთავე დედულ-მამულში რაცა ხდებოდა. ჯერ კიდევ როდის, ნოდარ ნათაქემ, ერთადერთმა თქვა მწარე სიმართლე, ჩვენ რუსი გვებრძის და არა ოსი, სიმართლე არი თვალში სინათლე, ზვიალმა ნოდარს გიჟი უწოდა და დაიმალა ყაჩალის სახე, აფხაზეთშიაც იგივე მოხდა, სად შევარდნაძემ დაგვიგო მახე. მას შემდევ რუსი იდგა შუაში, მკლავზე ეწერა მშვიდობის მცველი, ომმა სამკლავე ჩამოაგლიჭა, ვინც იყო ქველი, აღმოჩნდა მგელი. ომიც დაიწყო მგელის მიზეზით, მისი კარნაბით და მონდომებით, სეპარატისტებს ამიტომ წვრთნიდა, ახალ იარაღს აწვდიდა წყბით, თან თვალმაჟურად იმეორებდა, აგრესორები ქართველებია, ნამუსზე ხელი ვინაც აიღო, აფხაზებს მისი მხლებია. რომ არა რუსი, აფხაზებს, ოსებს რა ჰქონდათ ჩვენთან გასაყოფელი, ასეულ წლობით ერთად ვცხოვრობდით, ერთად მოვჭამეთ წუთისოფელი, ორასი წელი გვბატონობს რუსი, ის გახდა ჩვენი მტრობის სათავე, რომელ მეზობელს არ წაგვაჩეუბა, ვინ არ გახადა ჩვენი მოდავე. ვინ არ ინდომა ქართული მიწა, ვინ არ მიიჭრა მისი ნაწილი, და მხოლოდ რუსეთს სურდა მთლიანი, არ დაუტოვა

ქართველებს წილი.

მე ისეთ ქართველს რა უნდა ვუთხრა, მეორე ქართველს ედავებოდეს მომხდურს რად ებრძვი და რად აწუხებ, რაც წაულია, დე მასა ჰქონდეს რაც უნდა მითხრას ოპოზიციამ, განვსჯი და გულში დავვთანხმები მაგრამ რუსეთთან ომს რაც ეხება, გვერდით დამიდგნენ,

გამიხლნენ ძმები

კარგად იციან რაც ბუქარესტში მაპ-ის საკითხი ჩვენთვის ჩავარდა, პუტინს გაეხსნა საომრად ხელი, თავბრუ დაეხვა, ახტა, ავარდა, აპრილში გათქვა გულის მიზანი და იმის მერე ჭარებსა წვრთნიდა, ბაზას აგებდა ჭავაში ურცხვად, ჩუმად იარაღს ოსებს აწვდიდა.

ივლისის ბოლოს დაგვიწყეს სროლა, ქართულ სოფლების სურდათ ჩაქოლა,

რუსთა სარდალმა კულახმეტოვმა, არ შეაჩერა ოსების ბრძოლა, შემოგვითვალა, უშველეთ თქვენ ხალხს, სეპარატისტებს ვეღარ ვერევი. თქვენ გაარევით ერთ-ურთში საქმე, მე განზე ვრჩები, არ ჩავერევი. ყველას არ ვიტყვი, მაგრამ რა გვექნა, კოკოითს იქით დავნებებოდით? ამათ ჰგონიათ, ვინ აქეზებდა სეპარატისტებს, ვერა ვხვდებოდით, სხვა გზა არ იყო, უნდა დაგვეცვა, ჩვენი ქალები, ჩვენი შვილები. შეშინებული სარდაფში მსხლომნი, საშველად ხელებ გამოშლილები.

ოპოზიციის ლიდერებს ვეტყვი, მე მიკიუნებთ, თქვენ რას იზამდით? დედლობა მუდამ შესაძლებია, შორს არ არიან, წაღით და დახვდით! სხვა საკითხია ცილისწამება, ორატორებს არ მოვდივარ თვალში, რეზიდენცია გადამიკეტეს, ტუალეტშიც კი დამდევნებ კვალში. მიკიუნებენ, თითქოს სიკეთე სულ არაფერი მიკეთებია, გზები მათ გააჭყოთ, ირიგაცია, კრელიტიც მათი ნაწვლებია, ჯარი ვერ შევჭმნ, ქრთამი ვერ მოვსპე, ვერ მივუჩინე ქურდებს საკანი? რა იყო ადრე, რა არი ახლა, შეადარებენ? იწყონ კაჯანი, მე კარგად ვიცი რაც გავაკეთე, გაფუჭებულიც არ მავიწყდება. ვერ მოვერიე ჩემ ნათესავებს, ვერ დავაოკე და გული მწყდება, იმაშიც ვცოდე, როცა ხალხს უჭირს, არ დამებედა თავის განცხომა, ღვინო, ქალები, აგარაკები, გამოცდის მიზნით იყო ღვთის წყორმა. ამ ბოლო წელმა ბევრი მასწავლა, დრო მაქვს და ბევრსაც გამოვასწორებ, აღმაშენებელს მივეცი ფიცი, თავს არ შევირცხვენ და ავიმძორებ, ამ ქვეყნაში მინდა ცხოვრება, შვილების დაზრდა, სიბერე ტკბილი, სახელი მინდა, სიკვდილის მერეც, არ თქვან ვინ იყო ეს ჭივა აშლილი. ამიტომ მინდა, ყველამ გაიგოს, უამთა მროველო, შენაც იცოდე, ვამაყობ მით რაც მიშენებია, ვნანობ რაც ხალხის წინაშე ვცოდე, ცოდვილი მიგალ, პატრიარქს ვნახავ, თან გაგიყოლებ უხმო მოწმედა, მოვინანიებ, ვეზიარები, უფალს მდაბლად ვთხოვ, გამიხდეს მწერა.

(პრეზიდენტი მიდის, თემურის გამოპყავს უამთა მროველი თავის ჩანაწერებით და მისლევნ. გარედან ისმის შეახილი: მიშა, მიშა)

## ნიკა გილაური

პრეზიდენტი გვყვს მართლა მაგარი, თვითკრიტიკული, ალალმართალი, მხარში დავუდგეთ, არ ვუღალატოთ, საქმე ვაკეთოთ, ჩვენია ვალი. პირველ რიგში კი აქ გადავწყვიტოთ, ყველა საკითხი განსახილველი, განვიხილოთ თუ ვუყროთ კენჭი, ვინ არი მომხრე, ასწიეთ ხელი! ერთხმად მივიღეთ, ძალზე კარგია, ერთსულოვნება მთავრობას შევნის, ეს იმას ნიშნავს, ღირსი ვართ ნდობის, ვართ ერთი ნების

და ერთი რწმენის.

შეგვიძლია, რომ კმაყოფილებმა, ჯაფით და შრომით გადაოლილებმა დავტოვოთ ჩვენი სხდომის აღვილი და ისე, ქვევით შეკრებილებმა, რომ ვერ შეგვატყონ საით და როგორ, რესტორანი გვაქვს დაბევული, გავწიოთ იქით და გავიგრილოთ, ნერვიულობით ნახეთქი გული.

არა, მოიცათ ნუ აიშლებით, ნაადრევად ხომ არ გავიხარეთ?  
ხალხი არა ხართ? გამაგებინეთ, ვერ მივხვდი კენჭი რაღას ვუყარეთ?

### დახა ბენდუშიძე

კენჭი ვუყაროთ თუ არ ვუყურეთ, ხომ გავახურეთ და გავიხარეთ,  
სხვებზე ავმალლდით, და აქმაურდით, ხმა მივაწვდინეთ შენა თუ გარეთ,  
რა საკითხები, რის საკითხები, აქ წამკითხავი ვერავინ ვცანი,  
ცოცხლები ვართ და სკამებსაც ვათბობთ, ეს იყო ჩვენი სხდომის მიზანი.

(პარლამენტის სხდომათა დარბაზი. აქა-იქ დეპუტატები ჩანან.  
უკანა რიგში უამთა მროველი ჩანაწერებს აკეთებს)

### დავით ბაძრაძე

შუქრის ბიჭი ვარ, თანაც დავითი, ამიტომ გავხდი ქვეყნის შუქურა,  
ოპოზიციას სად აქს გაგება, მაგათ ოინებს მტერმა უყურა.  
რაც მე შევიძელ ბოლო ორ წელში, რამხელა იყო ჩემი ნახტომი,  
ვიქტორ სანეევს შეშურდებოდა, მაგრამ მე უფრო მეტის ვარ მდომი.  
ჩვენში რომ დარჩეს, რა გაკეთეს, ვინც ჩემზე ადრე აქა სარდლობდა,  
უვანია იყო თუ ბურჯანაძე, გინდ გოგუაძე მე რაში მჯობდა.  
ეშირად ცდებოდნენ, მათ შეცდომებზე, ვიზრდებოდი, ვვაჟკაცდებოდი,  
შეგარდნაძილან მოყოლებული, ყველას გაწავლობდი, ვაკვირდებოდი,  
გავითავისე ყველას მანერა, გავავარჩიშე გონება, ენა.  
ყველას ვწობივარ ერთად აღებულს, ეს ასე არის, არ მომეჩვენა,  
ამიტომ არის ძალზე მეწყნა, ოპოზიციის მოეთ-მიეთი,  
სირცვილის ბილიკს შემომიყნეს, გაიმეორეს ძველი ილეთი,  
ამათგან რამე მეკადრებოდა? უმუშევრები, უსაქმურები.  
როგორი ვიყავ, ნეტავ ვიცოდე, იმათ სასტვენი და საყურები,  
მე ბევრი რამე მომითმენია, მიზნის გულისითვის ბევრსაც ავიტან,  
მთავარი არი ხალხისთვის შრომა და სიზიფის<sup>4</sup> ქვას მთაზე ავიტან.

4. სიზიფი-ქალაქ – სახელმწიფო კორინთოს მითოლოგიური  
მეფე, რომელიც სიკვდილის ღმერთისა და საიქოს ღმერთის მო-  
ტყუებისათვის იმით დასახეს, რომ ქვის დიდი ღოლი უნდა აეტანა  
მთის წვერზე, რომელიც მუდმივად ქვევით უგორდებოდა. ე.ი. ფუ-  
ჭად მშრომელი იყო.

დეპუტატებო და მეგობრებო, ჩვენი სამშობლო, უსაფარლესი, რამდენ მიტინგებს გამოვატარეთ, უარესი აქვთ სიტყვა ნალესი, ამიტომ გთხოვდით, მოვეგოთ ჭეკუას, ოპოზიციის ხრიყს ნუ აყვებით, ღისკუსიაში ნუ ჩავერთვებით, პასუხის ძებნას ნუ გადავყვებით.

მე პრეზიდენტმა მიბრძანა ღილას, კი არ მიბრძანა, კრძალვითა მოხვა, მოგვწოლიაო საჭმე ყულამდე, მისალები გვაჭეს კანონთა გროვა რაც შეიძლება მოკლე ვადებში, იყოს საათი ოთხი, გინდ ეჭვის, განვსაზღვროთ, ვცადოთ, სწრაფად მივიღოთ, გადავიკითხოთ

ვით შოთას ლექსი.

სიტყვას ვინ ითხოვს, გია თორთლაძე? ჩვენი არი და არ ჩვენი, ზიგზაგით დადის, თითქოს მწვერვალი, დასაპყობი აქვს ქვეჭის საჩენი.

## გიორგი თორთლაძე

უმრავლესობა მექანის გიას, სიყვარულითა და მოფერებით, ოპოზიცია „პალოშა“ ყვირის, პომიდვრის სროლით და რუპორებით. დეპუტატობა თუმცა მინდოდა, განა იმიტომ, რომ „კლოუნი“ ვარ, „ჯომოლუნგმაზე“ თაგა წარმოვიდგენ, ქვეჭიერების სახურავს ვგავარ, უმრავლესობა რომ მივატოვე, ოპოზიციას შევუთანაბეჭი, მიტომ, რომ თქვენი ვერა ვიწამე, მართალი ვიყავ ნამუსთან ცამდი. როცა შევეკარ თორთლის, მყითხეს რა მოგაჭეს, რა მოგიცია, პასუხი მქონდა: თქვენი არ ვიცი, როგორც იმათი არა ვიცია. გამინაწყნდნენ, ასე დავშორდი, მაგრამ ერთი რამ გავითავისე, სხვის პარტიაში რიგითად ყოფნას, საკუთარს შევჭმი სჭობია მყისვე. დასტრიიალებებ ხალხის გონებას, ყავებს მოგავენ ნადავლით უძლებს, შევჭმი კიდეც. აბა შეხედეთ, რამდენ პარტიას ქვეყანა უძლებს, ძერასავით ვარ ყავების ახლოს, რომელი არი, რომ ხელი მახლოს, არ ნიშნავს წიხლით ვიგერიებდე, ვერიდებოდე საკითხს სამძალოს მაგრამ ერთი კი ვერ გამიგია, დემოკრატიულ პარტიას ვთაობ. თვითონ არ ვიცი დემოკრატია, სხვებს ჭივას ვასწავლი და სხვბთან ვდაობ, ნუთუ ესაა დემოკრატია, სირცხვილის ბილიკს შემომაყნეს, „პალოშ, პალოშა“ ერთხმად მექანეს, ძალური ენა არ დააჭნეს. მყინვარზე მომცა მე მათი თავი, სწორედ „პალოშებს“ ვალოკინებდი, სადმე ნაპრალში გადავჩეხავდი, და იქვე ტკბილად დავიძინებდი, ბატონო დავით, ის არ მეყოფა? რომ აგარაკი დამიბინძურეს.

ახატანიდან ჩაველ ბიწმენდში, იქაც მომაგნეს და გამიხურეს.  
მე უზრდელების დასჭამ მოვითხოვ, თავჯდომარე ხარ, გმართებს ზომები,  
,,ჩათლახობას“ ნუ მაიძულებენ, გადახილი მაქვს მსგავსი ომები.

### დავით ბაჭრაძე

გია, ნუ ცხარობ, ქვეყნის გინებას, სჯობს რომ გონებას დაუალაგდე,  
ერთ ადგილს მუდმივ ნუ ათამაშებ, და პირში ნათქვამს ბანზე ნუ აგდებ,  
მე მეტი მკადრეს, პოლიტიკოსი ვარ, ვერ შევნიშნე რამე უგვანო,  
ხომ გვაფრთხილებლნენ, ყველა კეთილებს, მოვგიგონებენ წინ და უკანო,  
ხო და ჩავყლაპოთ ჩასაყლაპავი, მათივ გულისოვის გადავდოთ თავი,  
თავი ჩავლუნოთ და ისე დავდგეთ, როგორც ყანაში სავსე თავთავი,  
აგერ გიორგი ასანიძეც ხომ, მობრძანდებოდა შენთან სიახლეს,  
სიტყვა არ დასცდა, არ უპასუხა, თუმცა იყვირეს, ხელი არ ახლეს.

### გიორგი ასანიძე

მძიმე წონას ვარ წლობით ჩვეული, ბევრი სიმძიმე მაქვს აწეული,  
სიტყვის სიმძიმეს ვერ ავიტანდი? ამტანობაში გამორჩეული  
გამწარებული ხალხი თუ ყვირის, უნდა მოისხა ყურები ვირის.  
ისე და ასე გააპარტყუნო, ვერ გაიგონო ხმები საყირის.  
დაუ, იძახონ, მათი ყვირილი, სმენას არ წვდება, ნერგს არ ათრთოლებს,  
რადგანაც ვიცი: ვინც იგინება, სხვას ვერას აკლებს, პირს აიყროლებს.

### გიორგი თორთლაძე

შენთვის აღვილი არი სათქმელი, ვერ აგიწვდება ზეცამდე ხელი,  
მე რა ვწნა, ლრუბლებს ვეხურე ქუდად, ნაბადად მქონდა ნისლები სქელი,  
იქიდან მიწას როგორ დავშვი, თოკით, წრიაპით, ოხვრით და ხვევშით,  
დეპუტატობას მიტომ დავთანხმდი, არ მჭირდებოდა გათბობა შეშით,  
სინამდვილეში რა გამოვიდა, ვარსკვლავებს ვწყვეტდი, მეგონა, ციდან.  
ამათ თვალში კი დავპატარავდი, ლილიპუტებშიც გამოვჩნდი ციდა,  
ამიტომ ვითხოვ, იყოს წესრიგი, მაშ რისთვის გვინდა დაცვა და ჭარი,  
იმან მირჩიოს და მიმითითოს, ვინც ჩემზე უფრო მაგარი არი.

## პეტრე ცისკარიშვილი

აქ სიმაგრეზე რომელი დაობს, აუთამაშდა რომელს კუნთები, არ გამაბრაზოთ, პირველ დარტყმაზე, დაეცემი, და მოიკუნტები, ამ დარბაზს ახსოვს ჩემი გაწევა, და დაკავება ჩემი ძნელია, რამდენსაც გჩუბობ ხალხის გულისთვის და გასარტყმელიც არ დაშელია. დეპუტატების წინამდობლი ვარ, უმრავლესობის თავი და თავი, შევაგინებ და თავსაც დავარტყავ თუ მაიძულეს გავშალო მქლავი, ამიტომ გირჩევთ დაკვალინდეთ, ერთი-მეორეს ჩუქად უსმინოთ, ცხვირილან ძმარი არ მაღენინოთ, ცოტას გულისთვის არ მაწყნინოთ.

## შოთა გალაშები

პეტრეს მხარს ვუჭირ. რა დროს დავაა, ვერ გაგვიყრია ოკუპანტები, აკლებული აქვთ გალის მიღამო, უნდათ არაყო და კუპატები, კედელს ავლებენ, სასაზღვრო კედელს, პკრეფენ მშენებლებს, ხურის და მჭედელს, დაგვაშორებენ მშობლებს და შვილებს, დაგვამსგავსებენ

შორიდან მხედველს,

მე პარლამენტის კომიტეტს ვჩივი, თავჯდომარე ვარ, უნდა ვზრუნავდე, დაფინანსება შევუნარჩუნო, მისთვის ჩაუქრობ ცეცხლში ვბრუნავდე, ეს კომიტეტი რომ გააუქმონ, რა ეშველებაო გალში შთენილებს. გაწამებულებს, დამცირებულებს, გატაცებულებს და იმათ შვილებს, აქეთ ლტოლვილებს უნდა ფერება, არ გაუნელდეთ გულში იმედი, არ შეურიგდნენ ბედის მუხთლობას და არ მოხარონ ამაყო ქედი, კონფლიქტის საკითხს მივუძლვონ წინგი, რაა საჭირო წვრილად გავშალე, გამოსავალი კარგად დასახე, სიზმარი ცხადში კი არ გავცვალე, მეორე წიგნს ვწერ, კინოსაც ვიღებ, კონფლიქტს რა იწვევს და რა მოჰყება, თუ პარლამენტმა მხარი ამიბა, გამოქვეყნება არ შეფერხდება.

## პაპატა დავითაის

შოთა ბატონო, რა დროს წიგნია და შენეული თეორიები, „ჩვენ თვითონ“ უნდა გადავამოწმოთ, იქ დარჩენილთა ზუსტი სიები, როცა დავადგენთ რამდენი არი ქართველი, რუსი, ნალი აფხაზი,

მათთან აფსუა, ძველი სომეხი, სოფელ-ქალაქის შევქმნათ ნახაზი ვიანგარიშოთ რა ღირს რამდენი, მეგობარი თუ მტრობის ჩამდენი მრნაცემები გაეროს მივცეთ, ბრძოლაში იყოს ჩვენი საყრდენი თქვენ თვითონ ცდილობთ რამდენი წელი, არ გაგიშვიათ კალმისთვის ხელი რამდენი ჯდება ეგ კომიტეტი, შედეგი თუ აქვს რამ სასურველი? ნოლია ფასი მაგ კომიტეტის, დანახარჭი კი ძალზე დიდია აფხაზი ვინმე თუ დაივალე, ენგურზე ხიდი თუ გაგიდია ეგ ფინანსები ჩვენ გაღმოვვეცი, „ჩვენ თვითონ“ ვიცით როგორ დაქარგოთ ჩავალთ, ჩამოვლენ, ძმობა აღსდგება, არ გვეზარება რომ გავისარჯოთ შორით თვალთვალი, შორით კარნაზი, არასდროს აღძრავს შინაგან სითბოს ერთად შრომაში, ერთად ლხენაში, გულები იგრძნობს საერთო სიტკბოს

## შოთა მალაშეია

ჩემს კომიტეტს რომ გადაეკიდეთ, მე წიგნი მაინც დამიწერია, სომართლე მითქვამს ჩვენს კონფლიქტებზე, ფუჟი ძმობისთვის არ მიმღერია, ეს კომიტეტი თუ ზედმეტია, მაშ სამინისტროც უნდა წავშალოთ, იაკობაშვილს დავემშვიდობოთ, ტყუილად ყოფნით არ გაგაწვალოთ, მას მივაყოლოთ ტყუშელაშვილი, დავითი მყავდა მხედველობაში, ასე რიგ-რიგით ფელა უსაქმურს თუ გადავუშვებთ მღელვარე ზღვაში. ვინდა დარჩება აქ პარლამენტში და არც მთავრობას გაუხარია, ჩვენ ერთმანეთს ვართ ხელჩაკიდული, ჩვენი ერთობაც მიტომ მყარია, როგორც მძივთა მწერივს ერთს თუ ჩამოგლეჭ, დანარჩენები დაიფანტება, კომიტეტების გაუქმების გზით მსგავსი სურათი დაიხატება.

## დავით ბაძრაძე

ამგვარი აზრი მავნებელია, თუმცა იდეა ძველის-ძველია, იმ ძველს ახალი აზრი შთავეროთ, ეგება სჯობდეს, საფიქრელია, წარმოიდგინეთ, უპარლამენტოდ, რას ემგვანება ეს სახელმწიფო, ბრძენთა კრებული არ შეიკვრება, აზრი სად გინდა რომ მოამწიფო, და ამას გარდა, პერიოდულად არჩევნები ხომ არ ჩატარდება. ოპოზიცია აღარ იქნება, ბრძოლის ყიუინა უცებ ჩაკვდება, ერთ შერივ კარგია. აპრილის მერე, ამ მიტინგებმა შეჭამეს გული,

საკვირველია, სად მოაგროვეს ამდენი მუქთი, ჩხუბის ერთგული, პარლამენტი თუ არ გვეყოლება, მასში სიმრავლე კომიტეტების, აღარ მექნება მიზეზი დავის, ფანჯრიდან მზერის და დაფეთების, კარგი იქნება, კაბინეტიდან გავალ-გამოვალ, გულს გავაყოლებ, არ წამომსკდება ხალხის გინება, საკუთარ პირსაც არ ავაყროლებ, მეორე მხრივ კი რა გამომივა თუ პარლამენტი არ შეიკრიბა, კომიტეტები თუ არ შევქმნი, დარტყმა გადმოვა ჩემზე ირიბათ, თანამდებობა გამიუქმდება, ამ დიდ კაბინეტს ვინდა შემარჩენს, რა მისწავლია, რას წარმოვალგენ, სხვა ცხოვრებაში რა გამომაჩენს? ზომებს სჭირდება ახლავ მიღება, სანამ გაჭდება ეჭვების ჭია, სანამ ეს ხალხი უჩემდო ყოფნას, თავისუფლებას არ მიეჩვია, დაგითაიას აზრი არ მომწონს, ოპოზიციურ აზრებსა თესას, დარჩიაშვილზე, მალაშენაზე, ჩასაფრებული კბილებსა ლესავს. არა და, იყო ჩვენში თანხმობა, ოპოზიციას მიემხრობოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მუდამ, ერთგულად გვერდით დაგვიდგებოდა, ახლა ეს რაა, რა აღარ მოსწონს, კომიტეტების იწყო გინება, ჩვენს შეკვეთას კი სხვა აზრი ჰქონდა: ზოგჯერ სიმართლის აქ დადგინდება, არ შეიძლება მხოლოდ სიმართლით, საკითხის აზრი ამოიკითხო, რა იქნებოდა, თუნდაც ყსიდად, ზოგ-ზოგ საკითხზე რამე რომ მკითხო?

## გიორგი თოროთლაძე

განსახილველად მე სხვა საკითხი დავსვი და აქვე პასუხი გთხოვე, ბანზე ამიგდე, ოპოზიციას განა ამიტომ გამოვეთხოვე, მაინტერესებს, გარეთ რომ დანანა, გვათუროთხებენ და კვერცხებს გვისვრიან, შერჩებათ ჩვენი შეურაცხყოფა თუ სხვანაირად დაისჯებიან? რას მიპასუხებ, ამის მიხედვით, იქნება ჩემი უკუქმედება, დავრჩები თუ მათ დავუბრუნდები, რომელი როგორ დამებედება.

## დავით ბაზრაძე

გია, თუ გასსოვს ჩვენი პირობა, არ დამიწყია სიტყვაძვირობა, მომიტინგებს რად უპასუხე, გამოიჩინე პირაშლილობა, სიტუაცია შექმენი მძიმე, რა ძალი გედგა, გამაგებინე, მოქალაქეებს რატომ ეჩხუბე, ან დაცვის წევრებს რად აწყნინე?

ხომ გაგაფრთხილეს, ჩუმად, მიპარვით და შეუმჩნევლად მოსულიყვავით, სამი თვე გახდა ასე ვიქცევით, წესი არ შეგვცდა და დავიყვავით. შეებულებაში მყოფად ითვლები, შინაურულად ხელფასსაც იღებ, გამოჩერეკავენ ახლა ამ ამბავს, განაცხადს უკან თუ არ წაიღებ, ვითომ შემთხვევით მოხვდი ამ მხარეს, ჩემ სანახავად შემოიარე, სრული სიჩუმე სუფეს ქუჩაში, ეს აზრი ასე გამიზიარე და თუ ასეა მე ვინ დავსაჭო, ან რომელს ვუთხრა ყაჩალო, ქაჭო, ასე შევთანხმდეთ და ასე იყოს და სხვანაირად აღარ განსაჭო. სანაცვლოდ გაძლევ მტკიცე პირობას, მე გამოვიჩენ მართლა გმირობას, ბიჭებს ვუბრძანებ, მომიტინგებს, შენანებენ შენთან ვირობას, ახლა მეორე გვაჭეს ჩვენ პრობლება, გვირდება ტვინის ჭყლეტა და გვემა, დღეს საარჩევნო კანონს თუ შევცვლით, ხვალ გამარჯვება რით მოგვცემა?

### პავლე ქუბლაშვილი

მე საარჩევნო სისტემას ვიკვლევ და ვაკონტროლებ, ღიდი ხანია, ისეთი ნაღმი ჩავდევი შიგნით, მათი თხოვნა რა მოსატანია! ოპოზიციას ბარიერს მოვთხოვ 30 %-ს ან ცოტა მეტი, გადაჰყებიან პროცენტზე დავას, რომ მოიპოვონ უფრო ზეღმეტი. ამასობაში ძირითად პრინციპს და მასთან ერთად მიღდომის წესებს ისე შევთუთნი, ვერვინ მთხვდება, სანამ სიმწარით არ დაიკვენესებს.

### დავით ბაჭრაძე

საპარლამენტო ოპოზიცია კვერს დაგიკრავს და თანხმობას იტყვის? როგორ, იციან მხარის დაჭერა და ერთგულება ნათქვაში სიტყვის? ისე არ მოხდეს ლევან ვეფხვაძე, ბოლოს გაჭირდეს, გადაირიოს, თვეობით ჩვენგან ხალლიავი, საქმე გამწვავდეს და აირიოს.

### პავლე ქუბლაშვილი

ფიქრად არ გქონდეს, ჯერ კიდევ დილას, გიორგის ვთხოვე და დავაფიცე, ჩვენგან წარდგენილ აზრს მიემხრობა, მისგან მივიღე პირობა მტკიცე, სანაცვლოდ ჩვენგან რაც უნდა იცი, ჩვენც ხომ მივეცით იქით პირობა, ხელი ხელს დაბანს და ორივე პირს თუ გაუუწიეთ ერთ-ურთს გზირობა.

## გიორგი თარგამაძე

ეგ მართალია, გვერნდა პირობა, მაგრამ პირობას თავად არ იცავთ.  
ხან სახლში გვიშვებთ, უცებ გვიბარებთ, შუა დღისას ცვლით,  
რას დილას ფიცავთ.

ასე თამაში მე ვინ მასწავლოს, ასე იცოდა ასლან ბატონმა,  
ამიტომ დროით გამოვერიდეთ, ვერ დამაჯერა მე განაგონმა,  
ზოგს ეს ღალატად თუ მოქმედნა, დაატრიალეს ავყია ენა,  
მათი მსეფლობა ზედაპირული, მე არგუმენტად სულ არ მექვენა.  
ჭრისტიანი ვარ, თან დემოკრატი, არა უტვინო, დეგენერატი,  
ვისაც უნდოდა ჩემი ხმარება, ჩამოვიხსენი იმისი ხატი.  
ავდექ, წამოველ. შემდეგ „იმედში“ პატარკაციშვილს ხომ ვემსახურე,  
წილი ვითხოვე, ვიყავ მართალი, ოცნებით ტვინი არ გავიხურე,  
ოპოზიციას გამოვეცხადე „იმედმა“ მომცა ამის იმედი,  
ზოგს ვერ გავუზე და ვერ გამიგეს, დავტოვე, შემხვდა ასეთი ბედი.  
სააკაშვილმა როცა მიწვია, ვნახე ღამაზი პირობა მომცა,  
რაზეც ხო ვუთხარ ძალაში არი, რაზეც ხო მითხრა უკვე გადმომცა,  
სამომავლოდ გვაქს მყრი ერთობა, არ დაირღვევა ჩვენ შორის ძმობა,  
კანდიდატი მყავს მერი-ს ადგილზე, არ დასჭირდება, ხალხის გაცნობა  
და უკვე ვიცი ის გაიმარჯვებს, ისიც, რა არი მისი შედეგი.  
ბოლოს გავცვალოთ ეგებ სკამები და მერე ვნახოთ რაა შემდეგი,  
ახლა კი ასე, დაგეთანხმები და საარჩევნო კანონს დავიცავ,  
პოლიტიკოსი დროს კვალში მისდევს, რასა მკარნახობს, იმასა ვლიცავ.

## დავით ბაზრაძე

სრული თანხმობა მიღწეულია, მისაწევები მიწეულია,  
ზოგჯერ ცვლილებებს მოითხოვს ეს დრო, დროით ცვლილება  
ძალზე რთულია,  
დღევანდელი დღის ამოცანაა, ოპოზიციას გარე ვუაროთ,  
დიალოგის გზით წამოვიყიდოთ, დაპირებები არ ვიუაროთ,  
დღეს შევპირდებით, ხვალ შევეშლებით, ესაა ჩვენი ყოფის მიზანი,  
ზოგს დავუყვავოთ, გადმოვიბიროთ, ზოგს დავემუქროთ ხანი და ხანი.  
ამასობაში ზაფხული გავა, შვებულებები ჩამოთავდება,  
ჯო ბაიდენის გვაქს შეპირება, ის დაგვიდგება ურუკ თავდებად,

ოპოზიციას ასე დამოძლვრავს: თუ არ შეწყდება თქვენი ხმაური, მიღიარდიან კრედიტს არ მოგცემთ და აქეთ ნახეთ აურ-ზაური, თქვენ თქვენი წილი დაგეკარგებათ, მომიტინგენიც დაიმშევიან, მოგადგებიან, საჭმელს მოგთხოვენ, დაგშორდებიან ადრე თუ გვიან, თუ არ ეყოლათ მხარის დამჭერნი, მათ რა მოელით, გამოიცანი, სააკაშვილი კვლავაც გვჭირდება, კვლავაც დარჩება, აი მიზანი.

### გიორგი თარგამაძე

ეს თუ ასეა, მწამს მართალს ამბობ, უნდა ველოდოთ გარეთ ცვლილებას, ავცდებით მაინც ხალხის ყუინას, კვერცხების სროლას და ხელით ხლებას, მაგრამ ასეთ ღრის როგორ გავივო, სააკაშვილის დანაპირები, პარლამენტს ავშლი, დეპუტატები საყარლებით და მათი გზირებით. ქუთაისს უნდა გადავიყანო, ამიერიდან, ზოგჯერ სხდომები იქ ჩატარონ, მიღებული მაქვს შესაბამისი, დაცვის ზომები. თუ მიტინგები მალე შეწყდება, ქუთაისს ჩაჟე უნდა წავიღე? განა, არ მეყო რაც ასლანისგან, თბილისისკენ ციტრუსი ვზიღე? ქუთაისს ყოფნა მეხალისება, მაგრამ თუ მივალ ისე, სტუმრადა, იქ პარლამენტის გადაბარგება, არ მიმაჩინა მე სახუმრადა.

### ლავით ბაჭრაძე

გიორგი, მიკვირს შენი ნათქვამი, გიფარს კრიტიკა და ჩაძიება, ზოგჯერ ღიდ საქმეს უნდა დაფარვა, მცირეს კირკიტი და ჩაციება, ოპოზიცია როცა მძლავრობდა, რეზიდენციის ჩაკეტეს გზები, მერაბიშვილსაც დაარტყეს ალყა, ჩვენ რაღა გვექნა, მე მგონი ხვდები. გამოვაცხადეთ, ამიერიდან, ქუთაისშია ჩვენი სასახლე, ამდენი გიუი, გადარეული იქ წაიყანე და ხელი ახლე, ასე დაგტანჭეთ მომიტინგენი, აყროლებული მივართვით ძლვენი, დაბნეულები ეხეთქებიან, რაღვან დაკარგეს გზა-კვალი ჩვენი. ქუთაისს წავალ, მაგრამ არ წავალ, გადასვლას უნდა მიღიონები, აქ არ ვიქნები, იქაც არა ვარ, არავისა ვცნობ და ვემონები, წალი მეძიე, საღ უნდა მნახო, წამომეწიო, გზაში მიყელო. ასე გამქონდა და ასე მინდა კვლავ გავიტანო ცხოვრების ლელო.

## პავლე ქუბლაშვილი

ქუთაისს წასვლა მე კი მაწყობლა, ტყიბულში დამრჩა მოგონებები, ჩავიღოდი და ეგებ მეპოვა, რაც კიდევ მახსოვს ბავშვობის გზები, მაგრამ ხომ ვიცი, იყო ნათქვამი, მომიტინგეთა დასაშინებლად, ტყუილს ყველთვის მოკლე აქს ფეხი, აფერისტობა დაჰყება მხლებლად. აფერისტი თუ იურისტია, იურისტიც ხომ ამ გზაზე დადის, დეპუტატებშიც იურისტები იმდენია რომ თავზე გადადის, მაშ, რა გამოდის, ვარ და არა ვარ, უჩინ-მაჩინი ხომ არა მქვია? ასეთი ბევრჯერ მომიგონია, ხელის წისჭვილზეც კი დამიფქვია, მე და ჩემი ძმა უჭივიანესი, იურისტებად ცხოვრებამ გვზარდა, სიტუაციას ალლო ავუღეთ, არც არავინ გვწამს დროების გარდა, დღეს ვინცა მეფობს, მისი ვართ ყმები, მისი მტრებია მომდევნო ძმები, ცხოვრება მუღმივ ცვალებადია, ხამს რომ შევცვალოთ სავალი გზები.

## გიორგი ასანიძე

იმერლებს მოგვდევს სიტყვა ფხიანი, ნათქვამიცა გვაქვს ლაზათიანი, მაგრამ საჩხერეს რა შეედრება, ანგელოზები ფრენენ ფრთიანი, საჩხერემ ზარდა ქვეყნად აკაკი, სხვა ტკბილი ლექსი არ გამიგია, მისი გამზრდელი, მისი თორნიკე, ბრძნულ შეგონების გრძელი რიგია. საჩხერეს ქვევით ჭიათურაა, იქვე თერჭოლა და ზესტაფონი, ღმერთო, რამდენი უნდა ვიცოცხლო, ამ კუთხის გაქდე მადლის ამწონი, თვით ქუთაისი, საფიჩხიელებს, წყალწითელას რომ გაღმოპყურებენ, მე ვუსურვებდი, კარიერისთვის ჭიკვიან შუბლებს ნუ გაიხურებენ. თუ პარლამენტი მანდ გადმოვიდა, არვის ეგონის წყალობა ციდან, პარლამენტშია თავშეკონილი, ვინც გადავიდა, კაცური გზიდან, მაგრამ მგონია, ეს ზღაპარია, როგორც მრავალი მოგვისმენია, უნდა შევიძლოთ ჭიკვიანურ ნათქვამს, გამოვყოთ ის რაც მოსალენია. ამას რომ ვამბობ, არ ვემიჩნები, სააკაშვილის ბრძნულად ნათქვამსა, ხელმძღვანელობის დაპირებები, მოექვენება სიმართლედ ხამსა, რკინა ავწიე, ამათ ლაყაფის სიმძიმეს როგორ ველარ ავწევდი, ამიტომ არი მე ჩემ გზას მივდევ, როგორც სიმძიმის აწევას ვდევდი.

## გიორგი თორთლაძე

ეს რა გამოდის, სიმძიმეს არ ვწევ, ამიტომ არ მაქვს ხალხში სიმძიმე? ვერ გავარკვიყ მტყუან-მართალი, სწორედ ვერ დავსვი წერტილიშძიმე? ასე ნათქვამი, ვფიქრობ ამძიმებს, ქვეყნად კრიზისულ ვითარებასა. ამ კომისიის ვარ თავჭდომარე, მიზეზებს ვიკვლევ სხვასა და სხვასა, ახლა ვრწმუნდები, მძიმე კრიზისი, არ არის მხოლოდ აღებ-მიცემა, უფრო მეტია პატიოსნება, მონანიება, გვემა და ცემა. საქონელი და მისი ბრუნება, ღირებულება, მოგება მასთან, ცოლ-ქმარშიც ნერგავს უბედურებას, შვილს არ დაინდობს, ქალიშვილს მმასთან, ამიტომ მინდა, ანტიკრიზისის ღონისძიებამ კრიზისსა სძლიოს, კომისიამაც, ჩემი თაობით, ყველა შედეგი გამოიკვლიოს. მაგრამ რა გინდა, ვისა სცალია, რეგულარული მქონდეს სხდომები, უნდა ვიჩივლო სააკაშვილთან, რომ მან მიიღოს მკაცრი ზომები, თუ ყურადღება არ მომაქცია, ოპოზიციას დავუბრუნდები, სანამ ჯერ კიდევ გარეთა დგანან და მისასვლელი კვლავ მახსოვს გზები.

### პეტრე ცისკარიშვილი

თორთლაძეს თუ სურს ჩვენ მიგვატოვოს, ჰერნია ამით რამ დაგვაკლდება? უკეთესები წასულან ჩვენგან, იმათთან არის ხელის დადება, ცუნდრუკი კაცი, კაცად არა მწამს, რასაც იპოვის თაგვივით გახრავს, მე ისეთებთან საერთო რა მაქვს, როგორიც გია თორთლაძე გახლავს, ვინ მოიყანა ის პარლამენტში და ვისგან იყო ნალოლიები, მადლობა თუ თქვა, როცა მიიღო ამომჩრჩეველთა ყოლბი სიები. თორთლაძე რაა, ჩვენ მივატოვეთ ბურჯანაძე და ოლასანია, რამდენი ვინმე, რამდენი რამე, ბარგად გვეკიდნენ კარგა ხანია. ოქრუაშვილზე უფრო ახლობელს და უფრო სანდოს ვისა ვნახავდით, ჭირში და ლხინში ერთად ვიყვით, მოქმედებითაც ტყუპ ძმებსა ვგავდით. გნებავს აიღეთ ნოლაიდელი, დავიცავით და როგორ დავფარეთ, მილიონები მოვაპარინეთ, და ვერ გავაძლეთ, ვერ გავახარეთ. ყველა მათგანი თორთლაძეს სჭობდა და მეტი ჰერნდათ ძალა-უფლება, ამას ჰერნია პარტია თუ აქვს, ქვეყნის საუნდეს დაეუფლება. ჩვენ გვემუქრება და ჩუმად გვერჩის, ოპოზიციას თავს არ უყადრებს, აღარ შევცდებით იქით და აქეთ, არვინ მიიღებს ასეთ უკადრებს.

## დავით ბაჭრაძე

ზოგი ჭირი რომ მარგებელია, სიტყვით ვიცოდი, საქმითაც ვცალე,  
პარლამენტში რომ მოგხვედრილიყავ, რამხელა ხარჯი გადავიხალე,  
მოვხვდი და მანც არად მაგდებლენ, სუსტი ეგონათ ჩემი ძალები,  
მერე ვიფიქრე, თავდომარეა, მოლი და ნინოს მივეძალები.

თქვენა გგონიათ აღვილი იყო, გიგი წერეთელს ავდევნებოდი?  
ნინოს ლაქუცით უტრიალებდა, არ გამაკარა, რას არ ვშვებოდი,  
ვერც ნადირაძემ მიშველა რამე, ვერც კირკიტაძის პირში ქებამა,  
რამდენჯერ მოგხვდი მათ სიახლოეს, რამდენჯერ მათთან ყოთნა მეხამა.  
და რა ვიცოდი რა ახლოს იყო, ჩემი ვარსკვლავის გამობრწყინება,  
ნინოს წასვლამ გზა გამიფართოვა, არც დამიწყია მისი გინება.  
მე კი ვიცოდი, თვითონ ვერ გრძნობდა, ხელისუფლების არის კანონი,  
პირველ პირს გვერდით მდგომი არ მოსწონს, მისი ცოდვების  
მცოდნე, გამგონი.

მიშამ უვანია რომ მოიცილა, ვიცოდი, სხვასაც მოიცილებდა  
სააკაშვილოან ჭიდილში ქალი ან რას შეძლებდა, რას გაუძლებდა,  
დადგა მომენტი ჩემი ზეობის, არც დამიკლია რამე მცდელობა,  
მიშა რა არის, გიუსაც ავიტან, მეყოფა ჭკუა და გამგეობა.

## მიხეილ მაჭავარიანი

დათო, რას ღელავ და ხურდავდები, რამდენჯერ მითქვამს, ნუთუ  
ვერ ხვდები,  
ათასზე მეტზე ვარ გადამხტარი, მეტის ძებნაში ალბად მოვავდები,  
შენ რა ყურს უგდებ პეტრეს, პალიკოს, ბევრს მკითხაობენ იყოს არ იყოს,  
ისეთს ავაგებ ინტრიგის გემბანს, კუს ტბა რა არი, ზღვაზ ვერ გარიყოს,  
ძველი კადრი ვარ, შევარდნაძისგან ათასი ხრიკი შემისწავლია.

ბევრი რამე თუ წარსულს ჩაბარდა, ბევრს არ გასვლია ჭერაც ყველია,  
ისეთი ვანმე თუ გვემუქრება, როგორც ირაკლი ალასანია,  
მაგისთანები თუ მიჭამია, დამვიწყებია კარგა ხანია,  
რა ძალი ედგა, იყო პატივში, ჩვენგან რაც სურდა არ მოჰკლებია,  
ჭკვიანი იყო, ასე მეგონა, ეტყობა ჭკუა დამოკლებია.  
იჯექი შენთვის და იკაიფე, რა კურდლელივით ცმუკავ და ხტუნავ,  
ოპოზიცია ძალზე ჭრელია, დაიკარგები, ტყუილად ბრუნავ.

## პეტრე ცისკარიშვილი

ალასანია სულ არ მაღარდებს, არც აქეთ იყო, არც იქით არის,  
ახლაც იგივეს გაიმეორებს და ვერ გახდება დამრეკი ზარის,  
ოპოზიციას მიტმასნებული, მათთან იქნება და არ იქნება,  
ჩვენგან წასული, ჩვენთან არ არის და მაინც ჩვენად გარდაიქმნება.  
ნოღაიდელსაც არა ვცნობ ძალად, მექრთამეობა უკან სდევს კვალად,  
ერთი აქვს ფიქრი, რაც ჭამა შერჩეს, შეძლებს? ახალი აილოს ვალად,  
სიმართლის მძებნელს რომ დაემსგავსა და სამართალის იწყო ძიება,  
სანამ შეეძლო და ძალა ჰქონდა სიტყვისთვის საქმე უნდა მიება.  
საქმეს ვინ ჰქითხავს წიხლით გაგდებულს, ცარელა სიტყვა დარჩა იმედად,  
ოპოზიციის გზას რომ ეძებდა, გზამკვლევად შეხვდა მამრაძე ბედად,  
ჰო, და იარონ ილაპარაკონ, ფუჭი ლაყობის არავის სჯერა,  
ერთისთვის საქმე, რომ არის საქმე, სიცრუე არის სხვის ბედისწერა.  
მე ბურჯანაძე უფრო მაფიქრებს, ჩვენთან ყოველი ხერხი ისწავლა,  
აზრი ნათელი, ენა ქარგული და არ გასვლია მის იმიჯს ყავლა,  
საშიში მხოლოდ ეგ ერთი არის, ამიტომ უნდა რამე ვიღონოთ,  
საქმე იცოდა, ქრთამს არ იღებდი, ეგებ სხვა რამე გამოვუგონოთ.

## მიხეილ მაჭავარიანი

არ დაგვჭირდება გამოგონება, თუ კი დავძაბეთ ოდნავ გონება,  
მშიერ ხალხს განა ეჭვს არ აღუძრავს, რომ გავუხსენოთ მამის ქონება?  
ბატონმა ანზორ ბურჯანაძემ თქო, მილიონები, რომ დააგროვა,  
საიდან შეძლო, ან რა ხელფასით, შემოიკრიბა მჭამელთა ხროვა,  
თვითონაც სჭამდა, სხვასაც აჭმევდა და შევარდნაძე მფარველად ჰყავდა,  
მისი ნათლული, მათი გაზრდილი, გზას აცდენილებს როგორ დაზავდა?

## დავით ბაჭრაძე

ოჳ, რა მაგარი რამ გამახსენე, ბრალდების ცხენი გამოაჭენე,  
სხვამ ვინ მიიღო წყნეთში სასახლე, ერთ ლარის ფასად, აბა მაჩვენე,  
უნდა აღვუძრათ ახლავე საქმე, აგარაკი რომ მიისაკუთრა,  
უსახლკაროებს, ათას დევნილებს, გასამართლებლად სიტყვა რა უთხრა?  
მიტინგზე მყოფნი ათათასები, უმუშევრები, ღატანი, მგლები,  
ამ სატყუარას გადაყლაპავენ, აბუნტდებიან, მისი თანმხლები.

მცველი არის თუ აზრის ზიარი, რომ არ დაფიქრდეს, ნახოს ზიანი, არ შეიძლება. ეს ვარიანტი დაგიწყოთ, რომ არ იყოს გვიანი, ზედ მიგაყოლოთ ოქრუაშვილი, მარჯვედ, დაჭერას გადარჩენილი, ვთქვათ, რომ ცხინვალთან საქმის არევა, სხვა არ ექცბოთ, მისია წვლილი და ამას გარდა რუსეთზე რა თქვა, როგორ არია ურთიერთობა. დაასამარა ექსპორტ-იმპორტი, ტალაკში სვარა ნაქები ძმობა, აგვისტოს ომის დამწყებს ექებენ, ირაკლი იყოს მისი დამწყები მომიტინგებს შორის გაუშვით ასეთი აზრი, მისი თანმხლები ბესელია კი, სხვაფრივ ვაძაგოთ, ურთიერთობა მათი დავძაბოთ. ეჭვის თესლი თუ მარჯვეთ ვისროლეთ, ჩვენ დავიმალოთ და გავინაბოთ, ოპოზიციის ლიდერთა შორის არის სიჭრელე, დიდი სხვაობა. ისე ავრიოთ, რომ ვერ გაიგონ, ვინ ვისა შურობს, შურის რაობა. ამასობაში დრო მოვიხელთოთ, მომიტინგებს მარჯვედ ავცდებით, ერთი-მეორეს დაერევიან მაგრამ მიზეზი ჩვენ არ გავხდებით.

### პეტრე ცისკარიშვილი

ბატონონ დავით, ამ საქმეს მოვრჩით, დღის წესრიგი კი არ გაგვიხილავს, თუნდაც ყალბით, რომ არ შევქოთ, უსაქმურს გვეტყის ვინაც გვიხილავს, ეამთა მრაველი, სხდომას ესწრება, რას ჩაიწერს და დაიმახსოვრებს, თუ არ განესაჭერ ფელა საკითხი, ფუჭს დაგვიძახებს და ძუძუმწოვრებს. ამიტომ უნდა დაგვეალიანდეთ, ზოგი საკითხი წინ წამოვწიოთ, რაც საჩვენოა, კენჭი ვუყაროთ, რაც არა – ვადა მისი გავწიოთ. აქ ბევრი რა გვაქვს დასაფიქრები, ჩამოვთვალოთ და დავახარისხოთ, ისე მოვიქცეთ, ჩვენებს არ ვავნოთ, ოპოზიციაც არ გავარისხოთ.

### მიხეილ მაჭავარიანი

ასე რად ამბობ, ზოგი საკითხი, წერილობითი სახით ვიხილეთ, ავიღეთ, დავდეთ, გვერდით გადავდეთ, სათაურს მივხვდით და განვხილეთ, განსახილველი თუ რამე დარჩა, პოლიციელის უფლებებია, გავუფართოვოთ შესაძლებლობა, პრინციპულია, ხელსახებია. პატრულს თუ ექნა იმის უფლება, ვისაც სად ნახავს ჩხრიკოს და ცემოს, ეს იმას ნიშნავს, მე ხელს ვერ მახლებს, სხვას კი გაურჩევს საქმეს საჩემოს, აქ ორი აზრი არ შეიძლება, პატრულს სჭირდება მეტი უფლება.

ასეც ჩავწეროთ, ასეთი არი პარლამენტისგან დართული ნება, მეორე საკითხს, განხილვა უნდა, დადგენილება იყოს ნათელი, მომიტინგეთა ალყაში არი, ხელისუფლების სასახლე მთელი, უნდა განვსაზღვროთ, მოქალაქეებს შესასვლელებთან მისვლის უფლება. ას მეტრზე ჰქონდეთ თუ ოცდაათზე და იდგეს სანამ არ დაიღლება, იქნებ ოცამდე დავწიოთ სიგრძე, დემოკრატობა გამოვიჩინოთ, რომ არ აგორდეს ჭორების ტალღა, ზეღმეტი მტერი არ გავიჩინოთ. ასეც ჩავწეროთ, მაგრამ ბუნდოვნათ, რომ მოქალაქე ვერაფერს მიხვდეს, როგორი უნდა ჰქონდეს ხელები, ოცი მეტრიღან სახელურს მისწვდეს. შემდეგი არი პენსიის გაზრდა, ოპო, პენსია ისეც დიდია, მოვუმატოთ თუ არ მოვუმატოთ, ორივე აზრი ფეხზე მკიდია. რამდენს შევპირდით არჩევნების წინ? ას დოლარამდე? ხომ არ გაგიუღნენ, ერთბაშად უნდათ წელში გამართვა, მილიონერი უნდათ რომ გახდნენ, ვფიქრობ ხუთ ლარზე უნდა შევთანხმდეთ, დამრგვალებული

ციფრი გახდება.

ასაკსაც ხუთ წელს თუ დაგამატებთ, წაგებ-მოგება გათანაბრდება ადგილობრივი არჩევნებისთვის ვადების საკითხს რა მოვუხერხოთ? მაისის ბოლოს მაქვს მონიშნული, გადაგწიოთ თუ ჩამოვახერხოთ? იქნებ დავტოვოთ, როგორც გვირჩიეს და დავადგინოთ მაისის ბოლო, მანძალე ბევრი წყალი ჩაივლის, ეგება ვადაც მას გავაყოლოთ. სხვა არჩევნების დროს თუ გვითხვენ, ჩაილურის წყალს გაღავაბრალოთ, არჩევნების გზით შვების მონატრე, დარჩება როგორც იყო საბრალოთ.

## დავით ბაჭრაძე

დღის წესრიგია ამოწურული, არ დამწუჯეტია საქმეზე გული, მაგრამ ერთია, პასუხსა მთხოვენ, აშკარაა თუ მტრები ფარული, დიალოგი სურთ ჩვენთან და ჩემთან, დიალოგისთვის არის მზადება, ტელევიზიის ეთერს ითხოვენ, სამათხოვრო აქვთ წინადადება. ჩემი პასუხი ასეთი არი, იმიტინგეთ, ნუ იქნებით წყნარი გამოერკვიეთ, საერთო გქონდეთ კითხვის-ხანგალი, პასუხის-ფარი, როცა ერთობას თქვენსას ვიხილავ და ჩაწყარდება ლანდღვა-ყაყანი, გამოგიძახებთ, პასუხსაც მოგთხოვთ და გაიჩკვევა ბრძოლის საგანი. (სხდომა მთავრება. დეპუტატები გადიან)

## ზამთა მროველი

ათენში იყო საბჭოს ადგილი, სად არხონტები იკრიბებოდნენ, აგორა ერქვა შეკრების ადგილს, ბრძენი მამები სიმართლით ბჭობდნენ, სხვაგან ოთხასთა საბჭოს ირჩევინენ, რომში სენატი ეწოდებოდა. მრუდედ მთქმელი და მრუდედ გამგები, მართლებში დიღხნის

ვერ ჩერდებოდა.

კანონებს სწერდნენ, წესებს ადგენდნენ, პასუხს ითხოვდნენ, პასუხს აგებდნენ რასაც ითხოვდა დრო-უამი მათგან, ვერ გაიგებდნენ? თავს წააგებდნენ მათ გრძელ სიაში ბევრი ვინ იყო, სახელიანი და უსახელო საერთო ჰქონდათ სიმართლით ჰედვა, რწმენით გაპქონდათ ცხოვრების ლელო.

მაგრამ მე ერთი გამახსენდება, მას ჰერაკლიტე ერქვა სახელად, ეფესიელი ფილოსოფოსი, სიმართლეს ედგა შემწედ და მცველად, მიადგნენ კარზე, მოსთხოვეს ნათლად, შეექმნა ქცევის კანონთ კრებული, უარი უთხრა, მისი უარით, მოქალაქენი გამწარებული.

დამოძღვრა ასე: რა თავში იხლით კანონს, რომელიც უძლური არი, მოთოკოს ურჩი ხელისუფალი, გამოუხუროს აგორას კარი, ამ პარლამენტსაც იგივ სჭირს ჭირი, შერცხვენილი აქვს ხალხის წინ პირი, ვერ დაუნახავთ მართალი საქმე და ვერ უთქვიათ მცდარისთვის ძირი. ვისაც რა უდანა იმას აჭერებს, კნონი ვერც ერთს ველარ აჩერებს, ასპარეზი აქვს მტყუანს გაშლილი, მართალს კი პირზე კლიტეს აკერებს. ხალხი თუ გირჩევს, არის ბატონი, შენ არჩეული მისი მსახური, ათასები რომ ეტყიან წალი, ვერ გაიგონებს რამ უსახური, სამი თვე გადის დილა-სალამოს, ერი ლელავს და გახადა ცხადი. სურს მოგიშოროს თუ გაქვს კაცობა, არა? ყოფილხარ ჭირი-სახადი, ყველა წასულა, მეც ჩავიარო, ვნახო მიტინგზე რაა ახალი, იქ შეკრებილი ყველა საწყალი, ხელისუფალთან არი მართალი.

(პარლამენტის შენობის წინ, სამიტინგო ტრიბუნაზე შეკრებილან პარტიათა ლიდერები და გამომსვლელები. ტრიბუნის გარშემო ხის პირობითი ღობება ორი შესასვლელით. შესასვლელებში აქტივისტები მორიგეობენ)

## შამთა მროველი

შენ ჩემო შეილო და მეგობარო, ახლა არ მითხრა აქ რატომ ხაროს, მოველი, უნდა სიმართლე ვპოვო, წარმატებების ხილვით ვიხარო. სხვა არაფერი არ მაქეს მიზანი, თავად მიხვდები თუ კაცად მცანი, ვიდგები ჩემთვის, უბის წიგნაკში, შენიშვნებს ჩავწერ ხანი და ხანი.

## მორიბე

არა ბიძია, წადი გამშორდი, შენ სად გიყურო, ხედავ, რა ხდება?— ყველამ ტრიბუნას რომ მოაშუროს, მიტინგის წესი-რიგი წახდება.

## შამთა მროველი

აგერ, გია დგას ჟორჟოლიანი, მოუხმე წუთით, ნუ დამზარდები,  
(გია ჟორჟოლიანი მივა, მიესალმება)  
გია, ამისენ, შიგნით რა ხდება, ისე დავბერდი, ვეღარა ვხვდები?

## გია ჟორჟოლიანი

ოცი წელია არ შექვედრილვართ, მე ვერ გიცანი, ეს სად გიცნობდა, რაც კინოს სახლში, კრებაზე გვითხარ, ყველა აღსრულდა, გული გიგრძნობდა?  
მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მიტინგისა და ბრძოლის წესები, შენ კი არა, მეც არ მიკარებენ, რჩევას მკითხავენ და ვეთესები, სიტყვით გამოსვლა შენ ალბად გინდა, ვრ შეძლებ, რა ვწა ეს არ გამოვა, ვიწრო წრე არი ორატორების, ვის როგორ უნდა, წავა და მოვა, სხვა დანარჩენი, ხუთი დღით აღრე, თეზისებს დაწერს, რა სურს, რას იტყვის, შედგენილია ასობით სია, ვინ არი მომხრე და მოქმედი სიტყვის უფლება არ მაქეს, შიგნით შეგიშვა და ლიდერებთან გალაპარაკო, ასეთი არი მათი სურვილი, სიბრძნის ნაფური რამ საარაკო.

## შამთა მროველი

გასაგებია, მე ვინ მიმიშვებს, ტრიბუნაზეა, ვინცა გვყავს ბრძენი, საქმე თუ იცის ამდენმა ერთად, უნდა დავლოცო მათი გამჩენი,

ერთ რამეს ვატყობ, ერთ რამეს გკითხავ, მოკლედ მანიშნე ან ხო, ან არა,

ლიდერთა ქცევას, ურთიერთობას, ვაკვირდები და მეცნო-მეწარა, ვგონებ მთავრობა შეუდგენიათ, ფიქრით, წინასწარ სკმებს ირგებენ.

ჰა? (გია ეორეოლიანი თაგს უქნევს და შორდება) გაცუდდება.

ჩანაფიქრები, ვერ შესწვდებიან და შეირგებენ.

კაცი, რომელიც საქმის მაგიერ, ოცნებას მისდევს და მოერგება, თაგს გაიწვალებს, სხვას გააწვალებს, ფუჭად ივლის და გადაედება.

(ტრიბუნაზე სიმრავლეა. ორატორები რიგ რიგობით წარმოთქმამენ სიტყვას. ზოგიერთი ცოტა ხნის შემდეგ დამატებით გამოდის)

### ირაპლი ზერეთელი

უფროს თაობას ემახსოვრება, როდის დავიწყეთ, რა შემართებით, ახლა სხვა დროა, სხვა ვითარება, არ ვამბობ ამას თავის მართლებით, ჩემი აზრია, ბრძოლის პათოსი, ახალ თაობას გადავულოცოთ, ნუ დაკარგავენ უფროსთა ამაგს, ჩვენც გზა ვუტიოთ, გულით დავლოცოთ. დაე აღსრულდეს დიდი მიზანი, ყველა ქართველს, რომ მუდამ დაპქნდა, ენა, მამული, სარწმუნოება, ყველას ახსოვდა, ყველას ასწონდა, იგივე მტერი კარს გვიტალახებს, ისევ გვჭირდება მხარ და მხარ დგომა, ვინც ცხელ ზაფხულში თაგს გამოიდებს, დაუფასდება მას შემოდგომა.

### სალომე ზურაბიშვილი

ჩვენთან ქაჯები აღარ მოდიან, ახლა ქაჯების წასვლის დრო არი, უნდა შევიძლოთ ძალის მოკრეფა, უნდა განგაშის ჩამოვკრათ ზარი. იქ, საფრანგეთში, მამა მმოძღვრავდა, პატარა ვიყავი, ვიმახსოვრებდი, შემდეგ, როდესაც წამოვიზარდე, მშობელის ანდერძს,

ერთგულად ვდევდი.

ორი სამშობლო ბედმა მარგუნა, ორივეს ვლოცავ, ორივეს ვფიცავ. თუ გაუჭირდათ, თუმცა ვარ სუსტი, თოფს ავიდებ და მექრდით დავიცავ. სააკაშვილმა, რომ მომიწვია და საგარეო საქმე მომნდო.

დიპლომატიის ლაბირინტს მყოფი, ვერავინ ნახა ჩემსავით სანდო, რა გავუმტყუნე ვისმე იმედი? ვერ გადაეწყიტე რუსეთის ბედი?

გავაყანინე ყველგნით ჭარები, ყოფა ვუტირე და შემოქმედი, მაშინ პრეზიდენტს ესმოდა ჩემი და მეც ვიცოდი საკეთებელი, შემდეგ დროება გამოიცალა, გამიხდა საქმე საღარდებელი, თუ პრეზიდენტობ, უნდა იცოდე, ვის, სად და როგორ ემსახურები. მას კი საეჭვო მრჩევლის ჩურჩულზე, დაცვეტილი აქვს მუდამ ყურები, მესმის არ იცის ეკონომიკა, არც მრეწველობის რამ გაეგება. აგრძარულ სექტორს ცერად უყურებს, რაც მოსწონს, იმას გადაეგება, რა მოსწონს, კარგად ყველამ გავიგეთ, ღვინო, ფანტანი და შიგ ქალები, ნაბოზავები და ნამთვრალევი, შეშუპებული დადის თვალებით. სირცხვილი არი, სხვისი კი არა, სირცხვილის გრძნობა მაგან დაკარგა, სირცხვილი ჰქენის, რომ პრეზიდენტად სხვა ვერა ვნახეთ, მან არ ივარგა, ახლა ჩენ რა ვწნათ, ვისხდეთ, ველოდოთ პახმელიაზე როდის გამოვა? არა და არა, შერცხვენილები, უქმად რომ დავრჩეთ, აღარ გამოვა, მე ასე ვიტყვი, დამეთანხმება, აქ შეკრებილი ხალხის ნაკადი, აღარ გვინდიხარ საკაშვილო, ერთხმად შევძახოთ, წადი და წადი.

(მომიტინგეები ტაშს უკრავენ, ერთხმად იმეორებენ: წადი, წადი)

### ლევან ბაჩეჩილაძე

მიშა, მოვდივარ, მოვედი, აქ ვარ და ვერაფერი ვერ შემაჩერებს, მოღალატე ხარ მეგობრობისა, ჰყითხე ვაკელებს, ბაგებს და ვერს, როგორი რწმენით გედექით გვერდში, როგორი გვქონდა შენი იმედი, შენთვის ბრძოლაში გადავდეთ თავი, შენთვის მოვხარეთ ამაყი ქედი, შენ სად ისწავლე ასე წუნქლობა, არა კაცობას როგორ მაღავდი, ვითომ გტკიოდა ხალხის ტკივილი, აფერისტობით, თურმე, წამლავდი. ჩვენ აგირჩიეთ, კაცის იერი გქონდა და რწმენით კიდეც მოგდევდით, ვინ იფიქრებდა, დრო გავიდოდა და შენს სურათებს ზიზლით დავხევდით, ვინ იფიქრებდა გარელან ჭრელი, შიგნიდან გესლით სავსე იყვი, ვინ გაგაკეთა, იმისი დედაც, როგორ ჩაფლავდი და დაიყვი, ვინ გაგაჩინა, ძუძუ გაწოვა, რძის ნაცვლად გესლი უწოვებია. ნათლია მაინც არ გამოგადგა? ბებიის სითბოც კი დაგკლებია, მიმოიხედე, ხალხი შიმშილობს, შენ კიდევ ცდილობ დედა უტირო, ვინა გზრდიდა და ვინ გასწავლიდა, როგორ გამოხველ, ასე უპირო, სამშობლოს გვართმევ, ოქროზე ჰყიდი, ქურდებშიც ქურდი ყოფილხარ დიდი.

კგბ-მ გზარდა, ცრუ-მ გწურთნა, გაორებული დადიხარ ფლიდი,  
მტერს უყვარდე და მოკეთეს სძულდე, რად გინდა შვილი,

ცოლი და თავი? -

ამდენ ხალხისგან მოძულებული, გასაგდები ხარ, როგორც ნაგავი.

ჭკუა არა გაქვს, გრძნობაც არა გაქვს? რას შემოგვიჩნდი,

როგორც სახადი,

მე მოველი, რომ შენ დაინახო, ღრო აღარ ითმენს, მოგვშორდი, წადი.

### (მომიტინგენი ერთხმად იმეორებდნენ: წადი, წადი)

გიგ გაჩერილაძე

სასაცილოა, მე ვარ უცნობი, სააკაშვილი კი ნაცნობია?  
თვითონ არ ვარგა, ჭკუას ვინ არიგებს, ყველა მის გვერდით ჭკუა ნალრძობია?  
როგორ მომწონდა, ერთხელ სცენაზე, ერთად ვიმღერეთ „ვაგონი მიჰქრის“,  
უბრალო იყო და მეგობრული, ხალხს მოეჩვნა ვარსკვლავად ცისკრის.  
ნინო სუხიშვილს ხელი მოპჰვია, ვიფიქრე, როგორ მოყვარულია,  
ახლა ვრწმუნდები, ნდობა ხალხისა, გაქურდულია, მოპარულია,  
იმავ ხალხს როგორ შემოუბრუნდა და შვიდ ნოემბერს<sup>5</sup> გაზით მოწმდა,  
რა დაუშავა მიტინგზე მყოფმა ბავშვმა, მოხუცმა უმწეო ქალმა?  
როგორ სცოლნია მას სიყვარული და მოთვერება საკუთარ ერის,  
გამოჩნდა, როცა სამმართველოსთან<sup>6</sup> ისმოდა ჰანგი ტყვიის სიმღერის,  
რომელი ერთი უნდა მოვთვალო მკვლელობები თუ სახლში მიხტომა,  
ბევრი უთმინეს და საბოლოოდ ზიზღი მოიმკო მიშვმ მიტომა.  
თვითონ მეც მომხვდა. რა დაგაშავე სამმართველოსთან, ქვეყნამ ნახა,  
არა მხოლოდ მე, ყველა იქ მყოფმა ეს კადრი გულში შემოინახა,  
წიხლებით შემდგნენ, დედა მაგინეს, „სპეცრაზმელებმა“, ნიღბიანებმა,  
„მიშას“ ყირილით ეშხში შევიდნენ და მოინდომეს დედებთან შებმა.  
მე ბურჯანაძის მადლობელი ვარ, ნინოს ქალობით აღტაცებული,  
როგორ მოზომა, როგორ სიმტკიცით, ხალხი დააცხრო აღშფოთებული,  
რომ არა ნინო, იქ მოხდებოდა დიდი სისხლის ღვრა და დიდი ცოდვა.  
იმ ნიღბიანებს, გაბრუებულებს ჟინს უმატებდა სისხლი და ბოდვა,  
მაგრამ გადაგრჩით, მადლობა უფალს, მადლობა ნინოს და მის ქალობას

5 მხედველობაშია 2007 წ. 7 ნოემბერს მომიტინგეთა დარბევა.

6 2009 წ. 6 მაისს, გორგობა დღეს, პოლიციის თბილისის  
სამმართველოსთან მისულ ხალხს რეზინის ტყვიები დაუშინეს.

გიორგობა ღლეს, ორივე მხარე, უნდა ლოცავდეს ღვთის დიდ წყალობას.

26 მაისს, შესაძლებლობა იყო, დაგვესვა უნდა წერტილი.

ასი ათასი გულ ანთებული და ერთი მუჭა ტვინ აწყეტილო,

რომელი, რომელს დააჭარბებდა ან ვისი იყო ქვეყნად სიმართლე.

უკუღმა მთქმელს და უკუღმა განმსჯელს, გამოელიოს თვალში სინათლე.

რამ დაგვაოკა? რად არ ვინდომეთ ძალაუფლების ხელში აღება?

ვინც რამე იცის, ვინც რამე ნახა, არ არი ძნელი ამის გაგება,

ქალაქის მერმა, სახელს არ ვიტყვი, უგულოა თუ უგულავაა.

პირჯვარს რომ იწერს, სანთელს რომ ანთებს, ლოცულობს

მაგრამ შიგნით გულქვაა.

სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და არა სწამს ღმერთი,

გარედან სათნო, ტკბილ მოუბარი, შინაგანად კი ეშმას ნაერთი,

ღვთის სახლს შეჰედა, წმინდა პატრიარქს, ურცხვად მიეჭრა,

ტყედ აიყანა,

ტელევიზიამ კიდეც უჩვენა, როგორ შევარდა, არ ღაახანა.

მრევლს რალა გვექნა, ჩვენი იქ მისვლით, პატრიარქს გვერდით

არ ღავდგომოლით?

სააკაშვილი და უგულავა ხომ არ ვიყავით, ღმერთს ვერ დავგმობდით,

პატრიარქს სურდა მრევლთან გამოსვლა, მრევლის დალოცვა და დარიგება,

ესეც არ მისცეს უღმერთოებმა, რწმენის ასეთი თუ აქვთ გაგება!

ტვინაშვეტილთა ურწმუნო ბანდა, იმ ღლეს გადარჩა ხალხის რისხვასა,

მიხვდნენ, ტაქტიკა თუ არ შეცვალეს, ვერ გაუძლებენ შეტევას სხვასა,

ამიტომ იყო, რომ თხუთმეტ ივნისს, ხალხს უჟღლეს და დაუწეს ცემა,

სააკაშვილის მსგავსი გმირობა, თაობებს ზღაპრად გადაეცემა.

თუ ვინებს რამე ჰქონდა საეჭვო, რაც დაინახა, ხომ გახდა ცხადი,

შემოგვიერდეს, ერთხმად შევძახოთ, სააკაშვილო, წალი და წალი!

(მომიტინგენი ხმამალლა: წალი, წალი)

შალვა ნათელაშვილი

მე მიხარია თქვენთან შეხვედრა, ვხედავ არა ხართ ჩემთან გულგრილი, ხალხის შვილი ვარ, ნათელ აზრს ვთესავ, ამიტომაც ვარ ნათელაშვილი, ნათლად გითხარით, სანამ დრო იყო, ნუ ვირჩევთ მიშას და ნუ ვენდობით,

ასეთ ტიპებს ვცნობ, დაულაგებლებს, გაკვირდებოდი ამასაც წლობით,  
კაცი, რომელიც პირველკლასელებს, კვირა დღეს, სკოლის  
კლასში იბარებს,  
ხალხს გაქცეული, ბავშვებს „აბოლებს“, არც დაიმორჩცვებს,  
არც დაიზარებს.

თბილისს გაურბის, ბათუმში ჩუმად ბოზობს და ლოთობს თუ ენდომება,  
ვითომ ხალხს ხვდება, ამბებს გებულობს, მაგრამ ამ ხალხთან არ ედგომება.  
ცირკი დახურა და ცირკის გარეთ, კლოუნი დარჩა უმუშევარი,  
თელავს ჩავიდა და წარმოიღენა, ხალხს გაუმართა სწორუპოვარი,  
დადგა ურემი, ზაპოროჟეცი, იქვე მოსკვიჩი და ვოლგა ძველი,  
ტრიბუნას შეხტა, ხელი გაშალა და წამოიწყო სიმღერა ვრცელი:  
მბანო კახელნო, ახალნო, ძველნო, სტუმრის მოყვარევ, ადათთა მცველნო,  
ოჯახთა გზირნო, ვენახში ვირნო, შრომაში მგელნო, გმირნო და ჭველნო,  
უნდა გახაროთ, მსოფლიო ბანქმა, უკანასკნელი გადასცა ცნობა,  
საქართველოში საქმის ჩატყობამ, საქმის კეთებამ, ტრიალმა, ძმობამ.  
წინ წაიწია, მთელ მსოფლიოში, მეათე ადგილს მიუახლოვდა,  
ეს იმას ნიშნავს ურემი გქონდა, ვირი რომ გყვდა, ბალახსაც სძოვდა,  
მერე იყდე, „ზაპოროჟეცი“, ვირიც დატოვე, „მოსკვიჩისაც“ ეცი.  
ბოლოს ვოლგაში ფეხი ჩაყვი და დატრიალდი ფარაში მხეცი,  
მერე მე მოველ მხეცებში მხეცი, და მერსედესში გადაგიყვანე,  
პროგრესის მაღლი გაგიზიარე, მაგრამ გამომრჩა შუქნიშნალ მწვანე,  
მალე შუქნიშანს ჩავრთავ და ნახავთ, ვისოცისაც დედა მიტირებია.  
მათში კახელებს გამოვარჩევდი, გამიძლონ მართლა თუ მაგრებია,  
ერთი ამბავი ხელს გვიშლის ფრიად, გომბორზე გზა მაქვს მხედველობაში,  
დღეს გადავაწყიოტე, ამ გზას გაიყვან თუ გადავასხი ღვინო ხახაში,  
თქვენ მალე ნახავთ თბილისი თელავს, ახლო გაიცნობს შეუერთდება,  
მის გარეუბნად გადაიქცევა, ჩემი ოცნებაც ასე ახდება.  
თქვენ არ იფიქროთ „პახმელიაზე“ ვარ და ამიტომ ამ ხმაზე ვმდერი,  
ტურიზმი მინდა ავალორძინო, ცივის მთა პქნოდეთ შორით სამზერი.“  
ახლა ვკითხულობ, ძმებო და დებო, ეს პრეზიდენტი გეამაყებათ?  
ის, ვინც ხო-ს იტყის, ჩასაქოლია, ისიც, ვინც ამ ხმას კიდევ აჰყება.  
გეუბნებოდით, არ გინდათ მიშა, სხვას რაზე ეძებთ, მე აქ არა ვარ?  
არ დამიჭრეთ, ვერ შეიშნოეთ, მშრომელთა დამცველს რით არა ვფავარ?  
სააკაშვილი როცა ფასებს ზრდის, ვინ აკრიტიკებს, შინაარსს ხვდება,

როცა ყოველდღე ქეიფობს, მრუშობს, ვინ მიუხტება და წინ დახვდება? დროა გავერკვეთ და არჩევნები ვადაზე ადრე დავანიშნინოთ, არ დაგვთანხმდება? სახლში მივუხტეთ, წალი ვუყიროთ და შევაშინოთ. თქვენ საკნებს რომ დგამთ, დადგით მიშასთვის, საკანში არის მისი ადგილი, თუ გეძნელებათ, მე ამირჩიეთ, უცებ გახდება ყველა ადვილი, მაგრამ მანმადე არ დავიზაროთ, და ლიდერებმა კენჭი ვუყაროთ, ჩვენში ვინაა პირველ მეორე, განვსაზღვროთ, იქვე ძირი ვუთხროთ, დავიწყოთ რითი? მხარი მომეცით და პრეტენდენტი გავხადოთ ცხადი, წინ წაგიძლვანოთ, მიშას მიგადეთ, შევძახოთ გეყო, წადი და წალი!

### (მომიტინგენი ერთხმად: წალი, წალი)

ეპა ბესელია

ბატონმა შალვამ თქვა პრეტედენტი და ვერ უარყო ჰეშმარიტება, ის, რაც გვალელვებს, რაც გვამიტინგებს და ის სურათი რაც იხატება ოქრუაშვილის დაწყებულია, ოქრუაშვილმა მისცა სტიმული, რასაც ჩვენ ვითხოვთ, რისთვისაც ვიბრძვით, წინასწარ იყო ოქროსგან თქმული, მერე რა, დღეს რომ გვერდით არ გვიდგას, მიტინგებს შორით თვალ-ყურს ადვენებს, მისი იქ ყოფნა სასურველია, აქ ძალას, გვმატებს, საქმეს არა ვნებს, თქვენ გაიხსენით პირველად ვინ თქვა, პირველი ქურდი პრეზიდენტია. ადრე კგბ-ს აგენტი იყო, ახალ ცრუ-ს ჩეზიდენცია, რასაც ეტყიან, იმას აკეთებს, ქვეყნის საქმეს რა გამოაკეთებს, მოპარულს თავის დამქაშებს უყოფს, მათვე აბარებს განძის საკუტებს, მან მოინელა ზურაბ უვანია, პატარკაციშვილს მოულო ბოლო. ახალ მსხვერპლს ეძებს გასაძარცვავად, წინამორბედებ რომ მიაყოლოს, ირაკლიმ იცის მისი ამბავი, გვერდით ედგა და წლობით იცავდა, ქართლელი არი, ნაღდი ტეტია<sup>7</sup>, ვისაც იტანდა, იმას მიჰვავდა. ველარ გაუქდო არაკაცობას, სამშობლოს ძარცვას, ქართველთა გმობას, ბრძოლის ბილიკზე დროშა აღმართა და ჩვენგან ითხოვს მასთან ერთობას, პრესიდენტს მხოლოდ იგი აშინებს, მოელანდება და არ აძინებს, დღეც არ ასვენებს მისი სახელი, თუ ხმას მიაწვდის, კიდეც აგინებს.

7 ტეტია – გულუბრყილი, მიმნდობი, მართლის მთქმელი, ზოგჯერ სიტუაციას ვერ მორგებული.

ნახეთ, ირაკლიმ რა მოიგონა, ვითომ, აიღო აქეთ ბილეთი. თვითმფრინავს ჩაჯდა და გამოფრინდა, ამას ხედავდა ხალხი მილეთის, სინამდვილეში არ გამოფრინდა და ამის მერე, იციო, რაც მოხდა? – ვაზიანს დასვეს, ალყა დაარტყეს, სიმართლე, როგორც ჭორი გამოხდა, ეძებეს ყველგან ოქრუაშვილი, ბარგი გაჩხრიკეს და მგზავრი ყველა. გაცუდებულნი დარჩნენ მდევრები, ვინც უთვალთვალა, ვინაც უყულა, ვინ უნდა იყოს ჩვენი ლიდერი თუ არა იგი, ვინაც გმირია, ვინაც ტირანი მწარედ ამხილა და ჩვენთვის თავი შეუწირია, მასთან თანხმობით შედგენილი გვაქს ბრძოლის პროგრამა და განაცხადი, რომლის მოთხოვნა არი ნათელი, მიშა გადადექ, წადი და წალი!

### (მომიტინგენი იმეორებენ: წადი, წალი)

#### ნინო ბურჯანაძე

მე ჩემს ხალხს უნდა მოვუბოდიშო, დარღი დამჭება თავში სახალი, თუ არა შევცოდე, მინდა იცოდეთ, შეცდომები მაქს ძველი, ახალი, მეორე პირი სახელმწიფოსი, შევარდნაძის დროს ვიყავი ჭერაც, ნათლია არი, ბრძენი კაცია, გამოცდილია და მისი, მჯერა. ისე გამოდის, მას გადვუდექი, სააკაშვილის გვერდით დავდექი, გორას გავეჭეც, რაღაც მიზეზით, ვაკე მეგონა, წინ დამხვდა ბექი, მიზეზი იყო მისი მთავრობა, მას გარს ეხვია ყვავი, ყორანი, ძარცვავდნენ ხალხს და გაჰქონდათ შორეთს, არ სჭირდებოდათ ზღვაზე ბორანი.

მეზიზლებოდა ის გარემოცვა, იქვე ნათლია მეცოდებოდა, იპოზიცია მეძალებოდა შინაგანი ხმა მედავებოდა, ამიტომ იყო თუმცა ვიბრძოდი, თვალი მრჩებოდა, ფეხს მივათრევდი, გული თუ გრძნობდა ბევრს წავართმევდი და მთელ მონაგარს ერთს მივართვევდი. სააკაშვილსაც ვუთმინე წლობით, სულ ყველა მახსოვს რიგით და წყობით, ყველა მოგვხიბლა უბრალოებით, ღარიბთა ძმობით, გულის საწყლობით. რომელი იყო, მხარს არ უჭერდა, ჭურდებს, ყაჩალებს როცა იჭერდა, იაფი უნდა გვყვდეს მთავრობა, იძახოდა და „პოზას“ იჭერდა, განიმტკიცა რა ძალა-უფლება, მობეზრდა მყისვე ღარიბთა ხლება, ახალ სასახლის იწყო შენება, კადრების რბევა და განახლება.

აღრე არავის რომ არ გვაცნობდა და ნათესავად არავის სცნობდა, მათი ბუნება კარგად იცოდა, რა მოხდებოდა, ეტყობა, გრძნობდა, ყველა უწესო და ხარბი ჰყავდა, მამულის ერთგულს არავინ ჰყავდა, ქვეყნის ხაზინას ჯარად მიადგნენ, ჯარაზე ყველა თავისოფერის რთავდა. სულ ყველა ვიცი, მოვა დრო ყველას, ნიღაბს ჩამოვგლებ,

მზის შუქს ვნახებ,

ვინც რა მიიღო თუ მიიტაცა, დავაბრუნებ და მწარედ ვანახებ, ზურა უვანისა ამბავსაც ვიტყვი, სიმართლე ხალხმა უნდა იცოდეს, მძარცველების და მკვლელების ფეხევეშ მშობელი მიწა უნდა იწოდეს! ღიღხანს ვუთმინე, ხანგრძლივ ლოდინში, მეც მომივიდა ღიღი შეცდომა, წერეთის აგარაქს, უარი არ ვთქვი, რაკი პრეზიდენტს ასე ენდომა, მე ახლა ვიცი ეს იყო მახე, როგორ ნაგები, მივხვდი და ვნახე, აივსო ჯამი მოთმინებისა, რაც გადამხდა და შემოვინახე.

წყნით ვიღოცე და ცრემლი ვლგარე, მოვინანიე შინა თუ გარე, ვფიცავ ქალობას და ქართველობას, არ დაგჭირდებათ თქვენ სხვა დამხმარე მედგრად ვიღები სადარაჯოზე, ქვეყნის და ხალხის ჭირის ზიარი, თქვენი შვილი ვარ, სხვაგან სიცოცხლეს, მე მირჩევნია თქვენთან ზიანი. მე მოგიწოდებთ, შევერთდეთ ყველა, წარსულის ცოდგა

გვერდით გადავდოთ,

საერთო ძალით ტირანი დავცეთ, თუ საჭიროა, თავიც კი დაგდოთ. მე მოვუწოდებ აქ მყოფ ლიღდერებს, საერთო აზრით გავერთიანდეთ! ნუ დაგვიშლებით, არ ვუღალატოთ, ვისაც რა გვანდეთ, ვისაც რა ვანდეთ, ხელისუფალი კვლავაც ეცდება, რომ დიალოგზე წამოგვიყიდოს, დაგვათითოოს, ცალკ-ცალკე მოგვსპოს, ნავთი დაგვასხას,

ცეცხლი გვიყიდოს.

მე კარგად ვიცნობ მიშას ილეთებს, მერაბიშვილიც არ გამომრჩება, ვინც მიენდობა, გაუცუდდება, დამარცხებული ბოლოს დარჩება. ღრია გვაქს და რატომ უნდა ვითმინოთ და ამოწურვას ველოდოთ ვაღის, საქმე ბოლომდე მისაყვანია, უნდა შევძახოთ: წადი და წადი!

(მომიტინგენი ერთხმად იმეორებენ: წადი, წადი)

გუბაზ სანიტიქ

კარგად ვიბრძოლეთ, სახეზე არი, განვლილ ეტაპის უტყვი შედეგი. ჩვენი ვალია, არ შევისვენოთ, დავლახოთ ბრძოლის ზღუდე შემდეგი.

კონცენტრაცია ჩვენი ძალების თბილისში იყო და დაგიპყრით. ოპოზიციას ეკუთვნის ცენტრი, ყველა მინისტრის ბაგა-საყარი. მეფის სასახლე ალყაში არი, თავად მეფე კი გაქცეულია, თვით ხერხემალი სახელმწიფოსი ნირ წამხდარია, წაქცეულია. ესაა ბრძოლის საწყისი ფაზა, ჩვენ ახლა უნდა სხვაზე ვიზრუნოთ, რეგიონები შემოვიაროთ, არავინ დარჩეს უცუროთ-ღვინოთ, ჩვენ რომ აქ ვიბრძით, იქ სამეგრელო, მეგრელთ გარეშე დარჩენილია, აჭარა გველის, ხულო-ქედაში ბაცილა „მიშა“ გაჩენილია. ჩვენი სირცხვილი, მთელი გურია ფირალებს უხმობს, ვერავის ხედავს, კაბინეტებში გამაგრებულან, სახლებში ჩასვლას ვერავინ ბედავს, სვანები მზის გულს ეფიცებიან, იქიდან აქეთ გვეფიცებიან, თუ აკლთ უშეულს, გულს გვიჩვენებენ, დროშებს გაშლიან, დაგვნებდებიან. რაჭა ილვიძებს და ემზადება, ჭიორას ხაზი, რომ გაამაგროს, ქოთნის ლობიოს მოგვიხარშავენ, საკუნებში ნამყოფს, ეგება, გვარგოს. მთლად იმერეთი შეკრებილია წყალწითელასთან, რესტორნის აქლოს. ჩავალ, მოვილი, ბავშურმა გრძნობამ, რომ გაიღვიძოს და განმეახლოს. იქიდან იწყებს ჩვენი ფორუმი და მერე იქნებ კახეთსაც მივწვდეთ, რაიონები თუ არ ავიღეთ, ვერ გავიმარჩვებთ, დროა, რომ მივხდეთ. ჩვენ გადავწყიტეთ, ფორუმელებმა, კარ და კარ, სოფელ, სოფელ ვაიროთ, თბილისი უკვე დაპყრობილია, ეს აზრი ყველას გავუზიაროთ. როცა სოფლებსაც ხელში მოვიგდებთ, როცა ქვეყნა ჩვენი განხდება, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბანდის წევრებთან ერთად წახდება. ჩვენ დღეის შემდეგ თუ არ გამოვჩნდით მიტინგზე, არვინ ინერვიულოთ, სუთა ჰაერი გვინდა ჩავყლაბოთ თან დავისვნოთ სოფლად უფულოდ. ვიცი მოგველის მედგარი ბრძოლა, გვჭირდება ძალთა მობილიზება. მეომრები გვყავს გამზადებული, ომი ყოფილა ქართველთ თვისება, ამას რად ვევები, ხმა მისწვდა სმენას: ოპოზიცია „ჩამოიშალა“. ალარ გაქვს ნდობა ერთმანეთისა, მძიმე ბრძოლებში დაკარგეთ ძალა. არა და არა, კი არ დავსუსტდით, არ დავიყავით და დავიშალეთ, პირიქით არი, ძალა მოვირთეთ, ჯანზე მოვედით, ფრონტი გავშალეთ, ასე სჩვეოდათ ჩვენს წინაპრებსაც, ვინაც ვიცით, და ვინაც შევაქეთ, უქარქაშო ხმლებს ვინც აელვებდა ქართლოსისა და ეგროსის აქეთ, ვისი გორის ვართ, არ გვავიწყდება, არც ის, რა არი დღეს საბრძოლველი. ფორუმი მიდის ამ მიზნისაკენ, მიზანი არი ყველი ქართველი.

ზოგს ჩვენი არ სწამს, ზოგი ხელს გვიშლის, ზოგს ჩვენი სულაც  
არ ენაღვლება,  
მთავარი არი, ერი შევკრიბოთ, დაგვითასდება დიდი წვალება.  
ხვალე იწყება ახალი ფაზა, ხმა მღაღადებლის ზეცამდე ადის,  
ომახიანად შევძახებ მიტომ, სააკაშვილო გაღადექ, წალი!  
(მომიტინგენი ერთგულად იმეორებენ: წალი, წალი)  
(ჟამთა მროველი სტოვებს მიტინგს და ლეონიძის ქუჩისკენ  
გაემართება)

### შამთა მროველი

დიდი ამბები ირგვლივ ტრიალებს, მზე რომ ამოდის, ცეცხლად ბრიალებს,  
პოზიცია თუ პოზიცია, ცეცხლი ვის დასწვავს, გაატიალებს,  
გამძაფრებული ერთ-ურთის კილვა, შეძახილები, ლანძღვა-გინება,  
ჩვენ თავს რისხვა ზეცით მოსული, ჩვენი დაღუპვა ღმერთმა ინება?  
დაკარგულია ადათი-წესი, შვილს აღარ აწყობს მშობლის ნათესი,  
ქმა ქმას არ ინდობს დასამცირებლად, მზად აქვს ორივეს აბელი-კვესი,  
დაბნეულია ხელისუფალი, წარომეული აქვს ნება და ძალი  
და მაინც იბრძეის თავგამოდებით, მონიშნული ჰყავს მსხვერპლად მრავალი.  
სახელს ეძებდა, სახრავს მიაღგა, ვერ დაიოკა თავი უძღები.  
მოთოკა წვრილი მესაქმე, ქურდი, ამეფა დიდი ქრთამის ამლები.  
ხალხში დაის და ხალხს ვრა ხედავს, რიღი არ იცის, ყელაფურს ბედავს  
თუ არ შეცვალა სავალი კვალი, გადაეყრება ბოროტსა და აქს,  
მე მაგონდება ძველი ამბავი, იყო ადრეან იმპერატორი,  
უფარდა რომი, იქ სეირნობა, რომ მოეძებნა თავისი სწორი.  
ერთხელ, მოხუცი გადუდგა გზაზე, გასაუბრების იყო მსურველი,  
ახლა ჩვენ მეფეს არა სცალია, უთხრეს მცველებმა, მოჰკიდეს ხელი.  
არ უნდა გერქვას იმპერატორი, თუ კი მოხუც ქალს ვერსა გაუგებ,  
დიდს და პატარას არ ეყარები, საკუთარ თავსაც წერას აუგებ,  
შერცხვა, დაიძნა იმპერატორი, ბოდიში თქვა და ქალთან ჩამოხდა.  
შერიდგნენ, დიდხანს ილაპარაკეს, რა აწუხებდა, მის თავს რა მოხდა,  
მოხუცი ქალი რა სათქმელია, ასი ათასი არის მსურველი.  
სააკაშვილი რომ მისულიყო, ვით პრეზიდენტი და ქვეყნის მცველი,  
თუ ადრიანეს ერთ ქალის შერცხვა, ამას ათასის არა რცხვენია.  
ცემა, მკვლელობა, დაპატიმრება, რაც ხდება, მისი ჩანადენია.

ეს მიტინგები როდის მოჩებება, ხალხს მიეცემა შვების უფლება, იქნება მოხდეს რამე ცვლილება, ქვეყნის საშველს რომ დაეცეფლება. მიტინგზე ვიყავი ნება არ მომცეს, გამოგასულიყავ, მეთქვა ნუგეში, ვისთან აქვთ საქმე, ასე რად ხდება, ტალახში სხედან წვიმის გუბეში. კარგია, როცა ხალხისთვის იბრძვი, სხვის სატკივარი გულზე გედება. მაგრამ არ უთხრა რას რითი შეცვლი, რა არის ღმერთობა შენი ვეღრება, ისე გამოდის: ამირან გულში მღეროდა, მთას ბანს ეხვეწებოდა.

ხმა ამოელო, მთასაც გაეგო, რა წახდებოდა, რა მოხდებოდა, სამი თვე არი მიტინგს აწყობენ და მხოლოდ „მიშა წადის“ ამბობენ, ასი ათასი ბანს ეუბნება, რასა სჩადიან, მაინც ვერ გრძნობენ, დალოცვილებო, უთხარით ამ ხალხს, რა გაქვთ მიზანი

და რისთვის იღწვით,

წართმეულიდან რას დაუბრუნებთ, ახალს რას შექმნით  
და რისთვის იწვით.

ასე გამოდის, ან არ იციან, ან ვერ დააწყეს ერთი მიზანი, მიდი მიტინგზე, არას გეტყიან, მაგრამ მიხვდი და ამოიცანი, ასე არ ხდება და არ გამოვა, მოდი, თვეობით ჩუმად იღექი, ცოცხალ კაცს უნდა ცოცხალი სიტყა, არ არის კუნძი,

არც ლვინის ლექი.

მახაომა განდის მეთოდით ბრძოლა, უნდა იცოდნენ ვისთან გამოვა, წადი, წადიოს მაძახებელნი, იმისთვის არის გროვა და ხროვა.

წავალ, მოვუსმენ აქუბარდიას, რამ სასიკეთო იქნებ გავიგო, დაფარულს მივხვდე, გამოვიცვალო, და იმედების კოშკი ავიგო.

(ტელეარხ „კავკასიის“ სტუდია. ედუარდ შეგარდნაძე და დავით აქუბარდია)

## პრეს

ბატონონ ედვარდ, თქვენი სტუმრობის მოხარული ვარ და მსურს გარკვევა, ადრე ჩვენს ეთერს არა სწყლობდით, რატომ შეცვალეთ წესი და ჩვევა?

## ე. შევარდნაძე

გიორგი სიმართლე, ბოლო ხანებში, ტელევიზიებს ველარც კი ვარჩევ, ბოლოს „იმედი“ როცა დახურეს, ყველა ერთს ამბობს, სხვას არას ვამჩნევ.

ზოგჯერ შენ გისმენ, შენი სტუმრებიც, უფრო კრიტიკულ  
აზრებს ამბობენ,  
მსმენელები და მაყურებლები თქვენგან უფრო მეტს სცნობენ და გრძნობენ.  
ორველაშვილი და ყოლბაია, ვახტანგი მყავდა მხედველობაში,  
რომ გამოვიდნენ და მოვისმონე, აქეთ წამოსვლა დამიჯდა ჭკვაში.  
თანაც რატომლაც, ყველა სხვა არჩმა, პირი შეკრა და არა მწყალობენ,  
სიმართლეს ვიტყვი, ალბად იციან, გავაკრიტიკებ – ამასაც გრძნობენ.

## აშშ

დიდი მაღლობა შეფასებისთვის. ზაფხულია და ომის ამბები  
გონებას ცუდად მიეძალება, თუ ვინწე არი ამის გამგები,  
მაინტერესებს, არა მხოლოდ მე, გონება არი ყალყზე დამდგარი.  
აგვისტოს ომი არ მომხდარიყო, შეიძლებოდა რაღაც ამგვარი?

## ე. შევარდნაძე

მე მოკლედ ვიტყვი, მაგრამ მოკლესაც, აქვს შინაარსი და შესავალი,  
სამ საჟურნალს თუ გადავხედავთ, საინტერესო მოხდა მრავალი.  
სტავროპოლის და ყუბანის მხარე, ვოლგა-დონამდე ვრცელი მიწები  
მთიელებს ეპყრათ, კავკასიელებს, ჰერონდათ სამშობლოდ დასაფიცები.  
რუსეთმა ძალით ყველა აოტა და მიაჯაჭვა კავკასიის მთებს.  
მათ ადგილებში რუსი ჩასახლდა, ვეღარ მოისმენ სხვა ხალხების ხმებს.  
აფხაზთა მთებშიც ლტოლვილი მოწვა, აფსუა არი მათი სახელი,  
მთის ხალხი, მთაში დათარეშობდა, და ბოლოს გახდნენ

ზღვისაც მნახველი

რუსებმა მოსპეს ყველა უბისი, დიდი მიწები ათავისუფლეს  
რუსი, სომეხი ჩამოასახლეს, თქვენი იყოსო თან ასე უთხრეს:  
ფსოუს ზევიდან ნოგოფსუხომდე<sup>8</sup>, ლენინმა რუსეთს გადაულოცა,

8. ნოგოფსუხი – ამჟამად ასე ეწოდება მღ. მცირე  
ხაზარეთისა, უფრო ადრე ლაია. ზღვასთან მისი შერთვის ადგილს  
ციხეს პომპეუსმა ნოგოფისა უწოდა. აქ მთავრდებოდა იმერეთის  
სამეფოს, სამეფრელოს სამთავროს ტერიტორია. საქ. საზღვრების  
დახასიათებაც იწყბოდა ნოგოფსიდან. ამ ფაქტს აღნიშნავდა  
რუსი დიპლომატი და მოგზაური ვ. ტატიშჩევი: «Паче же мною,

აფსუას მისცა ქვევით ქვეყნა „რევოლუცია“ მოაწყო როცა, აფსუებს მისცეს შეღავათები, აფხაზ-მეგრელებს დედა უტირეს, შემდეგ უწოდეს ყველას აფხაზი და სამოძავლო გზები უჩინეს. დღეს ყველა ერთად არი აფხაზი, ჩასახლებული ყველა მთიელი, აფხაზი როდის, ვის, რატომ ერქვა, ნათქვამი რჩება რამ ცარიელი.

### აძუ

ბატონო ედვარდ, რაც ოქენა ბრძანეთ, ახლა ვის ახსოვს, არის წარსული, დღეს ვინც აფხაზობს, ვინც მათ მფარველობს, მათთვის აზრია ვადაგასული აწყოს მივხედოთ, როგორ დაუშვით აფხაზ-ქართველთა გაუცხოება, ორივე მხარეს რატომ გაისმის წყვლა-მუქარა, მოთქმა-ვაჟება.

### ე. შევარდნაძე

მე კარგად მახსოვს, ვიყავ ჭაბუკი, და არც ბერიკაცს დამავიწყდება ხრუშჩოვმა მისცა მტრობას სათავე, სანამ რუსი ფლობს ეს არ შეწყდება ც. კ. — მდივანი ვიყავ და ვიცი, კგბ აფხაზ კადრებს რომ ზრდიდა თან უნერგავდა: ძველი ერი ხართ, მუდამ წყვეტავდით

ვარსკვლავებს ციდან თქვენში დაირწა სიბრძნის აკვანი, თქვენგან გავრცელდა წერის კულტურა გუნდრუკის, კმევამ, ბევრი დაათრო, ჭკვა აურია და გაუხურა. ძმა ძმას აჩხუბეს, სოფელი სოფელს, შულლს შულლი მოჰყა, მტრობა მიება, რუსმა დაიწყო, რუსმა წარმართა, წერტილიც დასვა გაუცხოებას.

### აძუ

მაგრამ ხომ იყო აფხაზთა შორის ნათელი აზრიც და შემართება, იმის გაგება, ვინ არის მტერი, ჩემგან რა უნდა, რას მემართლება?

---

часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы имеют  
абхаза, наши древние именовали обези. Ныне оной большую  
часть кубанцы населяют.» Амежашибад საქართველოს ეს ნაწილი  
რუსეთის კრასნოდარის მხარის სოჭი – ტუაფსეს მხარეა.

## ე. შევარდნაძე

განა არ იყო, განა არ არის, განა არ ცოცხლობს იმის გაგება, აფხაზ-ქართველთა ძირძველი ძმობის, ვის რატომ აწყობს, ასე ძაგება. პირველი ომის წინა პერიოდს, დემოგრაფია იყო ასეთი:

აფხაზური და ქართული სისხლი იყო საერთო წვეთი და წვეთი, მოსახლეობის უმრავლესობა გვარით, სახელით იყო ქართული.

აფხაზ ქალების ნაშობნი იყვნენ, ძუძუნაწოვი, წელგამართული.

უმცირესობა თუ აფხაზობდა, დედები ჰყავდათ ჩვენი ქალები.

საერთო ჭირი, საერთო ლხინი, ერთად ნაწრთობი და ნაწვალები,

გაუცხოება რუსმა ინდომა, ერთად მივეცით, საშველად ხელი,

იქით და აქეთ ბევრი აღმოჩნდა ენის ამყოლი, ბეცი, სულელი.

## აძუ

ბატონო ედვარდ, საბაბი იყო რკინიგზის ძარცვა, მას მოჰყვა ომი. ღირდა? ყოველი იმ სისხლის ფასად, გაქეზებულნი, რომ იყვნენ მდომი?

## ე. შევარდნაძე

მეც მიფიქრია ბევრი ამაზე, რად ვერ შევძელით მშვიდობის დაცვა, სხვამ თუ არა, მე კარგად ვიცოდი თუ რას ნიშნავდა რკინიგზის ძარცვა. ეს არ იქმარეს და გუდაუთის სამხედრო ბაზა გააძარცვინეს, ტანკები მისცეს და ქვემეხები, რუსთ საყვედლური არ ათქმევინეს. ჩვენ მხარეს იცით, ბოლომდე მაინც ძალა-უფლება არ მექუთვნოდა, იარაღს ფლობდნენ თენგიზი-ჭაბა და სჩადიოდნენ რაც კი უნდოდათ, მე ვერ შევძელი მათი მოთოვკა, შედეგად იცით მივიღეთ ომი.

რუსი მართავდა იქით და აქეთ, შუამაგალიც იყო სანდომი.

მე ერთში შევცდი და ეს შეცდომა სანანებელი დღემდე გამიხდა, ნოღარ ნათაძე მეუბნებოდა, არ ვუჭერებდი რასაც ის მიხვდა.

თქვა, რუსი არი მტრობის დამთესი, ახლაც რუსია ბრძოლის მოთავე, გამოვაცხადოთ ის აგრესორად, აფხაზ-ქართველთა მიწის მოდავეთ.

მე უარვყავი, რადგანაც ელცინს კარგად ვიცნობდი, ვივარაუდე, ასეთ დროს რუსი არ დაგვინდობდა, გაღმოლახავდა თბილისის ზოუდეს.

დიდ დანაკარგებს ვარჩიე ცოტა, ახლა ამ ცოტამ კიდევ იმატა, ბოლოს ის მოხდა, რასაც აშბობდა ნოდარ ნათაძე, ენაკვიმატა, დღეს საქართველოს ორი საუნჯე ოკუპანტისგან წაღებულია, როგორაც აწყობთ, მას დაარქმევენ, შორი ზრახვები ჩადებულია.

၁၃၅

შარშან აგვისტოს სააკაშვილმა გაიმეორა ქველი შეცდომა? თუ სხვა რამ იყო ღრმად ჩადებული და ვერ დაიცვა საჭირო ზომა?

ე. შევარდნაძე

ვინა ჰეთითხვდა ქართველთა მხარეს, ტყბილი უყარო თუ ირჩევნ მწარეს, ძლიერთა შორის შეთანხმებული, ვის შეუნგრევდა და რომელ კარებს, ის, რომ პრეზიდენტს ჰქონდა სურვილი, უკან მიეღო ოქროწურვილი, გასაგებია, მისალებია, მაგრამ აუტიდო გოლიათს ჩილი?

ისევა კვეთია, წასაგებია. ჩვენ რომ გავიგეთ, მან არ იკოდა?

ან არ ესმოდა, ან ვირ ხედავდა, შიზოიდური კეცხლით იწოდა?

არა. სულ სხვა რამ საფუძვლად უღევს, არ მკონის თიქრი

შეგვას გამოულევს  
ზედაპირული, ჭორად ნათებამი ღაემსგავსება უძლებს და ულევს.

၁၃၅

გასაგებია. რატომ ვამტკიცო, რაც გამიგია, მაგრამ არ ვიცი,  
თვითონ განსაზღვროს რა ვერ შეიძლო, რასაც ელტვოდა  
და მისცა ფიცი,

მაგრამ მეორე არი საკითხი: გამოსავალი ხომ უნდა ვნახოთ, არ შეიძლება მხოლოდ ძველს ესდიოთ, მტრობა მუდმივად შემოვინახოთ. ამას წინ იყო, რომ გორბაჩოვმა, შორიდან რჩევა შემოვციდახა, სამ ერთეულის ფედერაცია, გამოსავალის სახით დასახა.

გორბაჩივი ხომ ბრძენი კაცია, კარგად იცოდა, რასაც ამბობდა. ეგებ, მეღველეეს შეუთანახმდა, ან პაზიციას თქვენსასა გრძნობდა, ვფიქრობ, შემდეგი, თქვენი ჯერია, ყოფილმა ყოფილს ხმა მიაწვდინოთ. მეგობარი და თანამებრძოლი, არ ალოდინოთ და აწყენინოთ

## ე. შევარდნაძე

მე მოხუცი ვარ, ყოფილის აზრებს, აქლების უნდა სულ სხვა მიღობა, თქვენც შეგიძლიათ, ტელევიზიებს, აზრი გამოთქვათ, მიღობა ზომა. მე კი გორბაჩოვს თუ კი შევხვდები ან ტელეფონით, თუ აზრებს გავცვლით, ყველა საკითხზე ვილაპარაკებთ, ამბებს გავიგებთ, საფიქრალს დაცლით.

## პტ

ბატონო ელვარდ, ერთი საკითხიც, უნდა გკითხოთ  
და პასუხს მოველი,  
მთელი ზაფხული შფოთავს ქვეყანა, დამნაშავეა მითხარ რომელი?  
და ამას გარდა, ერი შესძახის წადი, წადიო და არ იღლება,  
თუ კი არ გესმის შენი ერის ხმა, პრეზიდენტობა როგორ იქნება?

## ე. შევარდნაძე

დავით, იცოდე, კიდეც ვიწოდე, მე ამ საქმეში არ ჩავერევი,  
არცა მჩვევია ფუჭი ჭიდილი, რასაც ვერ ავწევ და მოვერევი,  
ყველა ვიცოდი, ყველას ვსაზღვრავდი, როდესაც ქვეყნად  
ვიყავ პირველი,  
აღელვებულ ხალხს არ გავურბოდი, ბევრია ჩვენში ამის მხილველი.  
თუ პირველი ხარ, პასუხისმგებაც პირველმა უნდა გაინაწილო,  
არ არის წესი სხვს დააბრალო, შურისძიება მით აიცილო.  
მხედართმთავარი ომს რომ წააგებს ან თავს მოიკლავს ან გადადგება.  
შენ დაიწყო თუ სხვამ ჩაგითრია, უნდა შეგეძლოს პასუხისმგება,  
ხალხი რას ითხოვს? ახალ არჩევნებს თუ მართალი ხარ,  
მიეც უფლება,

ის გაიმარჯვებს ვინც ხალხს გაუგებს, ვინც ხალხის  
აზრებს დაეუფლება  
გაჭირვებული ერი რომ შფოთავს, ნუ შეეჭრები როგორც სახადი,  
რად გინდა ვისაც ალარ უნდიხარ, უნდა წახვიდე და ვეტყი: წადი!

(გადაცემა მთავრდება)

## ଶାସନ ମରନ୍ତିକାଳୀ

ჰაი, დედასა, რას მოვეცტარი, დატებილებულა რაც იყო მწარი, ხელი დარია ასაკის ძალამ თუ სასიკეთოთ მოექცა მხარი? რაც თავი ახსოვს, სხვის აზრებს სფერვდა, რაც არ აწყობდა, აგდებდა, ხევდა. თანამდებობის სიყვარულის წილ, თანმხლები იყო ჭმუნვა და სევდა. არ ანალვლებდა მშრომელთა ბედი, არ იყო ჭველი და შემოქმედი, კარიერისთვის სწირავდა ყელას, ასეთი ჰქონდა გადასახედი, მისი ცხოვრების ცუდი და კარგი, ბევრჯერ და ბევრგან დამიწერია და ახლაც ვიტყვი: როგორიც იყო, ისეთი დარჩა, იმავ ფერია. ახლა კი ლროა, პრეზიდენტს შევჩერი, უნდა პატრიარქს

ცალკე ეახლოს,  
ჩამოწოლილი მათ შორის ჩრდილი, შუქით გაფანტოს და განაახლოს.  
ვნახო როგორი იქნება რჩევა, როგორ შეხვდება, როგორ ემთხვევა  
ურთმუნო ვნახავ მორწმუნეთ რწმენას, რატომ გავუშვა  
მსგავსი შემთხვევა?

(შეხვდება თემურს, მიღიან სამების ეკლესიისაკენ)

## დასტვნა

აი, ბამბუქიო<sup>9</sup>, დამბაჩიანი,  
ქართველზე მეტად არი ჭიკიანი.  
არ უნდა ქება, პატიჟი, ხლება,  
ჩვენს შორის მაინც ჩაესახლება.  
ქალს გაგვილანძლავს, ბაგშეს გაგვილახავს,  
დედას გვიტირებს, მორჩილს თუ გვნახავს,  
ჩვენი მთავრობა მას მიემხრობა,  
ასეთი არი ფულის ოხრობა.  
კრწანისი გასცეს, წაგვისი გასცეს,  
არაგვი გასცეს, მამული დასცეს,  
სადაც რა ნახეს ყიდეს და ყიდეს,  
ჭიბე გაიგსეს, თავს ცოდვა იდეს.  
ვინ რა იცოდა, სულს ამოგვხდიდნენ,  
დედასამშობლოს გაგვიყიდიდნენ,  
უცხო ენაზე უღურტულებს ცოლი,  
და ბაბილონის გახდა გოდოლი.  
ჰეი, ბამბუქი, როგორ ვიყუჩიო?  
გითხრათ, ამიგო, ბრატან და მუქი,  
ფეხზე არ დავდგეთ და არ გეურჩიოთ,  
თუ პრეზიდენტიც გახდა ბამბუქი.

---

9 ბამბუქი – უცხო ელემენტი (სხეული)